

განათლების ფსიქოლოგია

რიდერი

მ. წერეთელი

ნაწილი IV

2016

მოტივაცია საკლასო ოთახში

მასწავლებლის პირადი მახასიათებლები, საკლასო გარემო, რომელსაც ისინი ქმნიან და სწავლების მეთოდი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე. დაფიქრდით, თუ როგორ არის გამოყენებული ეს ფაქტორები შემდეგ მაგალთში.

მეტეულე კლასის მასწავლებელს, დევონე ლამპკინს უნდა, რომ თავის მოსწავლეებს ასწავლოს ფეხსახსრიანების ძირითადი მახასიათებლები. წინა გაკვეთილებზე ნასწავლი სხვა ცხოველების მახასიათებლების გამეორების შემდეგ ის იწყებს გაკვეთილის მთავარი თემის სწავლებას.

„დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ფეხსახსრიანებზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფზე და მე მინდა, რომ მათი ძირითადი მახასიათებლები გააანალიზოთ, “იწყებს მასწავლებელი და ყუთიდან ამოჰკავს ცოცხალი კიბო, რასაც მოსწავლეების მხიარული შეძახილები მოჰკვება.

დევონე სტეფანის სთხოვს, რომ კიბო კლასში ჩამოატაროს, რათა მისი ახლოდან ნახვის საშუალება ყველას მიეცეს და თან პასუხობს: „დიახ, შეგიძლიათ, შეეხოთ.“

„ყურადღებით დაკვირდით,“ ამხნევებს ის მოსწავლეებს, „იმიტომ, რომ გკითხავთ, თუ რა დაინახეთ.“

მას შემდეგ, რაც ყველა დაათვალიერებს კიბოს, მასწავლებელი მოსწავლეებს კითხება: „აბა, მითხარით, რა დაინახეთ.“ „ის მყარია“, „ვარდისფერი და მწვანეა“, „სველია“, - ჩამოთვლიან მოსწავლეები თავიანთ დაკვირვებებს. დევონე ყველაფერს დაფაზე წერს და მოსწავლეებთან ერთად ასკვნის, რომ კიბოს აქვს მყარი საფარი, რომელსაც მასწავლებელი არქმევს ჯავშანს, სხეულის სამი ნაწილი და გამოყოფილი ფეხები. ამის შემდეგ მათ შემოხაზავს, როგორც ფეხსახსრიანთა უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს.

ამის შემდეგ დევონეს ჩანთიდან ტარაკანა ამოჰკავს. უფრო აღტაცებული შეძახილების ფონზე, მასწავლებელი კლასში ტარაკანით ჩამოივლის და ყველას აჩვენებს.

„ყველამ იცის, თუ რა არის ეს, არა? ჩვენ ყველამ ვიცით, რადგანაც სამხრეთში ვცხოვრობთ. ახლა მინდა ვიცოდე, შეიძლება ეს ფეხსახსრიანი იყოს? გაიხსენეთ მახასიათებლები... ყურადღებით შეხედეთ და მითხარით.“

მოსწავლეები გადაწყვეტინ, რომ ტარაკანას აქვს სხეულის სამი ნაწილი და გამოყოფილი ფეხები, თუმცა კამათობენ იმაზე, აქვს თუ არა ჯავშანი.

„რა მოხდებ, თუ დავაბიჯუებთ ტარაკანას?“

„დაიტკაცუნებს, “პასუხობს ანტონი რამდენიმე წამიანი დაფიქრების შემდეგ.

„ამიტომ აქვს თუ არა მას მყარი ზედაპირი?“

როდესაც კლასი დააკვნის, რომ აქვს, დევონე მოლუსკს ამოიყვანს კიდევ ერთი მაგალითის საილუსტრაციოდ. „არის თუ არა ეს ფეხსახსრიანი?“

ზოგიერთი მოსწავლე ამბობს, რომ არის, მისი მყარი ნიჟარის გამო. დევონეს დამატებითი შეკითხვების შემდეგ, მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მოლუსკს არ აქვს სხეულის სამი ნაწილი. ეიჯეი ამბობს: „ასევე, მას არ აქვს გამოყოფილი ფეხები.“

მოსწავლეები გადაწყვეტინ, რომ მოლუსკი არ არის ფეხსახსრიანი.

„ფიქრობთ თუ არა, რომ მისტერ სხეპი (სკოლის დირექტორი) ფეხსახსრიანია? მითხარით, რატომ ფიქრობთ ან არ ფიქრობთ ასე?“

სიცილის ფონზე ზოგიერთი მოსწავლე ასკვნის, რომ სკოლის დირექტორი ფეხსახსრიანია, რადგანაც გამოყოფილი ფეხები აქვს. სხვები არ ეთანხმებიან, რადგან ის არ ჰგავს არც კიბოს და არც ტარაკანს. რამდენიმებნიანი კამათის შემდეგ მოსწავლეები ასკვნიან, რომ დირექტორს არ აქვს ჯავშანი. კლასი თანხმდება, რომ დირექტორი არ არის ფეხსახსრიანი.

ამის შემდეგ დევონე ჯგუფებს აყალიბებს და აძლევს მათ კრევეტს განსახილველად. ის აწყნარებს აღტაცებულ მოსწავლეებს და სთხოვს, რომ კრევეტი ყურადღებით დაათვალიერონ და გადაწყვიტონ, ფეხსახსრიანია თუ არა.

დისკუსიების დროს დევონე აღმოაჩენს, რომ ზოგიერთმა მოსწავლემ ჯერ კიდევ არ იცის კარგად, თუ რა არის ჯავშანი. ამიტომ მასწავლებელი მათ ათლევინებს კრევეტს და აჩვენებს მათ კრევეტის თავსა და მყარ გარეკანს. გათლილი გარეკანის დანახვის შემდეგ მოსწავლეები ასკვნიან, რომ კრევეტს ნამდვილად აქვს ჯავშანი.

ბოლოს დევონე მოსწავლეებს აჩვენებს მწერებს და კიბოსნაირებს, როგორც ფეხსახსიანთა ქვეკატეგორიებს და ანაწილებინებს მოსწავლეებს სხვადასხვა ქვეკატეგორიაში.

კლასში მოტივაციაზე საუბრის დაწყებამდე ორი კითხვა უნდა გავითვალისწინოთ: 1. კონკრეტულად რა გააკეთა დევონემ მოსწავლეების მაღალი ინტერესის გამოსაწვევად? 2. დევონეს ხასიათისა და სწავლების რომელმა თვისებებმა გაზარდა მოსწავლეების მოტივაცია? ამ კითხვებს ვუპასუხებთ ამ თავში.

კლასის სტრუქტურა: სწავლებაზე ფოკუსირებული გარემოს შექმნა

ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემას ორი ტიპის სასწავლო გარემოს განხილვით დავიწყებთ. სწავლებაზე ორიენტირებული გარემო ხაზს უსვამს მონდომებას, მუდმივ გაუმჯობესებას და გაგებას. ის ძალიან განსხვავდება მიღწევაზე ფოკუსირებული გარემოსგან, რომელიც მაღალ ქულებს, უნარების სააშვარაოზე გამოტანას და მოსწრებას პრიორიტეტებად თვლის. (Coveington, 2000; D.M. Ryan & Patrick, 2001).

დევონეს მცდელობა იყო შექმნა სწავლებაზე ფოკუსირებული გარემო სულ მცირე სამი გზის მეშვეობით. მან მოსწავლეები ძალიან საინტერესო აქტივობებში ჩართო ფეხსახსრიანთა კონცეპტის შესასწავლად, მან ხაზი გაუსვა მოსწავლეების მიერ საკითხის გაგებას და ხელი

შეუწყო თანამშრომლობას შეჯიბრის ნაცვლად. ამ ორი ტიპის სასწავლო გარემოს შორის განსხვავება 11.1 ცხრილშია ნაჩვენები (Covington, 2000; Pintrich, 2000; Urdan, 2001)

სწავლებაზე ორიენტირებული გარემოს ფარგლებში ამ თავში აღწერილია მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებელი მოდელი, რომელიც მეათე თავში განხილულ თეორიასა და კვლევას აერთიანებს (Eggen & Kauchak, 2002). ის შეჯამებულია 11.1 გრაფაზე და ოთხი ძირითადი კომპონენტი აქვს:

1. თვითრეგულირებადი მოსწავლე: მოსწავლის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.
2. მასწავლებლის მახასიათებლები: პირადი მახასიათებლები, რომლებიც მოსწავლის მოტივაციას ზრდის.
3. კლიმატური ცვლადები: მამოტივირებელი გარემოს შექმნა.
4. სწავლების პროცესის ცვლადები: სასწავლო აქტივობებისადმი ინტერესის განვითარება.

ამ მოდელის კომპონენტები ურთიერთდამოკიდებულია. ერთი ცვლადის ეფექტურად გამოყენება შეუძლებელია, თუ სხვები არ არის. დაიმახსოვრეთ ეს შემდეგი ნაწილების შესწავლისას.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


1. ახსენით განსხვავება სწავლებაზე ფოკუსირებულ გარემოსა და მიღწევაზე ფოკუსირებულ გარემოს შორის.
2. მასწავლებელი ამბობს: „ყველამ ძალიან კარგად დაწერეთ ტესტი. ნახევარზე მეტმა მოსწავლემ კლასში მიიღო ა ან ბ.“ სწავლებაზე ორიენტირებული გარემოსა და მიღწევაზე ორიენტირებული გარემოს აღწერის გათვალისწინებით, რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ ეს კომენტარი? რატომ?

11.1 ცხრილი სწავლებაზე ფოკუსირებული გარემოსა და მიღწევაზე ფოკუსირებული გარემოს შედარება

| | სწავლებაზე ორიენტირებული გარემო | მიღწევაზე ორიენტირებული გარემო |
|-----------------------|---------------------------------|---|
| წარმატება არის | დახელოვნება, გაუმჯობესება | მაღალი ქულები, სხვებზე უკეთ გაკეთება |
| მნიშვნელობა ენიჭება | მოსწავლის მიერ დასწავლას | მაღალ ნიშნებს, უნარების წარმოჩენას |
| კმაყოფილების მიზეზები | გამოწვევების მიღება, შრომა | სხვებზე კარგად გაკეთება, წარმატება მინიმალური მცდელობით |

| | | |
|---|---|--|
| მასწავლებლები ორიენტირებული არიან | მოსწავლის მიერ დასწავლაზე | მოსწავლის მიღწევაზე |
| შეცდომებისადმი დამოკიდებულება | სწავლების ნორმალური ნაწილი | წუხილის და ღელვის საფუძველი |
| მცდელობის მიზნები | გაზრდილი გაგება | მაღალი ნიშნები, სხვებზე კარგად რამის გაკეთება |
| უნარებზე შეხედულება | შეცვლადი, განვითარებადი | ფიქსირებული |
| შეფასების მიზეზები | მოცემული კრიტერიუმის მიხედით პროგრესის გაზომვა, უკუკავშირის გამოწვევა | ნიშნების განსაზღვრა, მოსწავლეების ერთმანეთთან შედარება |

გრაფა 11.1. მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებელი მოდელი



თვითრეგულირებადი მოსწავლეები: მოსწავლის პასუხისმგებლობის განვითარება

მოსწავლეების მხრიდან მონდომებისა და პასუხისმგებლობის ნაკლებობა მრავალი მასწავლებლის პრობლემაა (J. Cooper, Horn, Strahan, & Miller, 2003). ყველა მასწავლებელს უნდა, რომ მოსწავლეებს პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეთ, თუმცა ზოგიერთი მასწავლებელი ნაკლებად წარმატებულია ამ სურვილის გამოხატვის დროს:

„ჩემი მოსწავლეები ისეთი უპასუხისმგებლოები არიან,“ აღნიშნავს მეშვიდე კლასის მასწავლებელი კეით ჰუსი სადილზე საუბრისას. „მათ არ მოაქვთ წიგნები, ავიწყდებათ რვეულები, ფანქრის გარეშე მოდიან... ვერ შევძელო, რომ კლასში მომზადებული მოვიდნენ, არათუ დავალება შეასრულონ.“

„ვიცი, „პასუხსობს ქითს მისი კოლეგა მერსედეს ბლანტი, „ზოგიერთი დაბნეულია, ზოგს კი სურთოდ არ აინტერესებს გაკვეთილი.“

რა შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად? მიუხედავად იმისა, რომ შესასრულებლად რთულია, პასუხი ამ შეკითხვაზე არის - თვითრეგულაციის განვითარება, რაც ნიშნავს მიზნების დასახვას, ფიქრის პროცესთან და იმგვარი ქცევების განვითარებასთან ერთად, რომლებიც ამ მიზნების მიღწევას უწყობს ხელს. როგორც განმარტებიდან ჩანს, თვითრეგულაცია იწყება მოსწავლის მიერ მიზნების დასახვით და ამ მიზნების მონიტორინგით (Schunk, 2005; Zimmerman, 2005). იმისთვის, რომ მიზნებმა იმუშაოს, მოსწავლეები მათი ერთგული უნდა იყვნენ. მოსწავლეები უფრო მეტი ალბათობით მოინდომებენ წესების შესრულებას, თუ ისინი თავად დაისახეს (Murphy & Alexander, 2000).

ეს დამატებითი პრობლემაა, იმიტომ რომ ბევრ მოსწავლეს არ სურს წესების დასახვა, მაშინაც კი, როცა სურთ, მათ არ იციან, რა მიზნები დაისახონ ან როგორ გააკეთონ ეს.

თვითრეგულაციის განვითარება: თვითდეტერმინაციის თეორიის გამოყენება

როგორ შევძლოთ, რომ მოსწავლემ დასახოს წესები, იყოს მათი ერთგული და მონიტორინგი გაუწიოს მათ? ამოცანა რთულია, მაგრამ თვითდეტერმინაციის თეორია რამდენიმე რჩევას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიის ფოკუსი შინაგან მოტივაციაზეა, თეორია ითვალისწინებს, რომ თავდაპირველად ყველა ქცევა შინაგანი მოტივაციით არ არის განპირობებული (R.Ryan & Deci, 2000; Pintrich & Schunk, 2002). მოსწავლეები გაივლიან გარეგანი მოტივაციის საფეხურებს, როცა მათი თვითდეტერმინაცია იზრდება. პირველ საფეხურზე, რომელსაც გარეგანი რეგულაცია ეწოდება, მოსწავლეები ცდილობენ მიზნების მიღწევას, რათა მიღონ ჯილდო და თავიდან აიცილონ დასჯა (R. Ryan & Deci, 2000). მას შემდეგ, რაც მათი ა თვითრეგულაცი ვითარდება, მოსწავლეები ნელ-ნელა სწავლობენ, რომ თავად აგებენ პასუხს დასახული მიზნის მიღწევაზე, რადგანაც, მაგალითად, მათ სჯერათ, რომ მიზნების მიღწევა მნიშვნელოვანია უკეთესი ნიშნების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქცევა ჯერ კიდევ გარეგანი მოტივაციით რეგულირდება, თვითრეგულაცია მაინც გაზრდილია. რაც უფრო მეტად ვითარდება მოსწავლე, ის მიზნის მიღწევას ცდილობს იმიტომ, რომ ამის გაკეთება შეესაბამება მათსავე თვითსქემას. მაგალითად, თუ მოსწავლე მონიტორინგს უწევს მიზნებს იმიტომ, რომ საკუთარი თავის, როგორც პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების, აღქმას იწყებს, მან პროგრესი განიცადა თვითდეტერმინაციის გზაზე.

დროთა განმავლობაში, მოსწავლეები აყალიბებენ და მონიტორინგს უწევენ საკუთარ მიზნებს საკუთარი თავის გამო, რაც შინაგანად მოტივირებული და თვითდეტერმინებულია (Pintrich & Schunk, 2002). რეალურ ცხოვრებაში მოსწავლეთა უმრავლესობა ამ ეტაპს ვერასოდეს აღწევს, თუმცა მათთვის, ვინც ამას აღწევს, გრძელვადიანი წარმატება და მიღწევის ალბათობა გაზრდილია. როგორც მასწავლებელი, თქვენ ძალიან დიდ როლს თამაშობთ მოსწავლის თვითდეტერმინაციის განვითარებაში.

მოსწავლის დახმარება თვითრეგულაციის განვითარებაში: სწავლების პროცესის პრინციპები

იმის გამო, რომ თვითრეგულაცია განვითარებადია, თქვენ, თავდაპირველად უნდა დაეხმაროთ მოსწავლეებს და შემდეგ ნელ-ნელა უფრო მეტი პასუხისმგებლობა დააკისროთ მათ (C.M. Bohn Roehrig, & Pressley, 2004). ამ პროცესში შემდეგი პრინციპები დაგეხმარებათ:

1. ხაზი გაუსვით პასუხისმგებლობის მიღებასა და სწავლას შორის კავშირს;
2. მოითხოვეთ მოსწავლის წვლილი საკლასო პროცედურების ჩამოყალიბებისას,
3. დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაიგონ პასუხისმგებლობის პრინციპის კონცეპტი და

დააკავშირეთ ის შედეგებთან;

4. მოდელირება გაუწიეთ პასუხისმგებლობას და დაეხმარეთ მოსწავლეებს მიზნების დასახვაში;

5. წარმოადგინეთ კონკრეტული მექანიზმი, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება, შეაფასონ დასახული მიზნების მიღწევა.

ვნახოთ, თუ როგორ დაეხმარა ეს პრინციპები მეშვიდე კლასის გეოგრაფიის მასწავლებელს სემ კუკს.

სემმა სკოლის პირველი დღე დაიწყო შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სკოლაში. მოუთმენლად ველოდები ძალიან კარგ წელს და დარწმუნებული ვარ, თქვენც ასევე.“ მან მოსწავლეებს საშუალება მისცა საკუთარი თავი წარედგინათ და შემდეგ იკითხა: „რატომ ვართ აქ, ამ კლასსა და ამ სკოლაში?“

მოსწავლეები რამდენიმე წამის განმავლობაში ჩუმად სხედან, რადგან არ არიან დარწმუნებული, რა სურს სემს. საბოლოოდ დანა ეჭვით პასუხობს: „რათა გეოგრაფიის შესახებ ვისწავლოთ.“

„დიახ!“ პასუხობს სემი. „სწორედ ამიტომ მოვდივართ სკოლაში - რათა ვისწავლოთ. რაც უფრო მეტს ვისწავლით, მით უფრო ჭკვიანები გავხდებით, რაც უფრო ჭკვიანები გავხდებით, მით უფრო უკეთ ვიქნებით... და იმისათვის, რომ ვისწავლოთ რაც შეიძლება მეტი, ერთად უნდა ვიმუშაოთ. მე მინდა, დაგეხმაროთ და თქვენ უნდა დაეხმაროთ თქვენს თავს. მაგალითად, მე უნდა ვიფიქრო იმის შესახებ, თუ რას გვინდამივაღწიოთ. მე უნდა მოგიყვანოთ ისეთი მაგალითები, რომლებიც საკითხის უკეთ გაგებაში დაგეხმარებათ. ეს ჩემი ნაწილია.“

„რა არის თქვენი ნაწილი? რაზე უნდა იფიქროთ და რა უნდა მოიტანოთ კლასში ყოველდღე, რათა დარწმუნდეთ, რომ ბევრს სწავლობთ?“

სემის დახმარებით მოსწავლეებმა დაასკვნეს, რომ უნდა მოიტანონ წიგნები, ფურცლები და ფანჯრები კლასში ყოველდღე. ისინი ასევე შეთანხმდნენ, რომ თავიანთ ადგილებზე უნდა ისხდნენ, როცა ზარი დაირკება და გააზრებულად უნდა შეასრულონ საშინაო დავალება, რათა გაიგონ მისი შინაარსი და არა უბრალოდ შეასრულონ.

„ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?“ კითხულობს სემი.

„ჩვენ ვართ, “ ერთდროულად პასუხობს რამდენიმე მოსწავლე.

„დიახ. მე პასუხისმგებელი ვარ ჩემს ნაწილზე და თქვენ თქვენსაზე.

„ახლა, მოდით, დავფიქრდეთ ამაზე, “ აგრძელებს სემი. „მოდით, ვნახოთ, რა ხდება, როცა ადამიანები უპასუხისმგებლოდ იქცევიან. “ ამის შემდეგ ის ტექსტს აჩვენებს მოსწავლეებს:

ჯოშს ყოველთვის მოაქვს საჭირო მასალა სკოლაში და ყურადღებით ასრულებს საშინაო დავალებებს. მას სია აქვს, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა საჭირო მასალა თან აქვს და რომ მან შეასრულა და გაიგო დავალება. თუ რაიმე ნაწილის შესახებ ვერ გაიგო, მეორე დღეს იკითხავს. ჯოში კარგად სწავლობს. მას მოსწონს გაკვეთილები და ამბობს, რომ ისინი საინტერესოა და ბევრს სწავლობს. მისი მასწავლებლები მას პატივს ცემენ.

ენდის ხშირად აქვს უსიამოვნება მასწავლებლებთან რადგან ხშირად ავიწყდება წიგნების, რვეულების ან ფანქრების მოტანა კლასში. მას ზოგჯერ საშინაო დავალებაც ავიწყდება და ამის გამო ქულას ვერ იღებს. ენდის მასწავლებელი ურუკავს მის დედას ენდის უპასუხისმგებლობის განსახილველად და ახლა ენდის ერთი კვირით აეკრძალა ტელევიზორის ყურება.

ენდის უჭირს სწავლა. ის მოწყებილია და ფიქრობს, რომ ბევრს ვერაფერს სწავლობს.

„რა არის ძირითადი განსხვავებები ენდისა და ჯოშს შორის?“ კითხულობს სემი, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა ტექსტი წაიკითხეს.

მოსწავლეებმა რამდენიმე კომენტარი გააკეთეს და ბოლოს რონისმა დაასკვნა, „თავისი ბრალია“, ვიღაცის საპასუხოდ, რომელმაც თქვა, რომ ენდი ვერ სწავლობს იმდენს, რამდენსაც ჯოში.

„ყველა ძალიან კარგი კომენტარია, შენი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,“ იღიმის სემი და რონისს ეთანხმება. „თუ პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე არ ავიღებთ და არ ვიმეცადინებთ, ვისი ბრალი იქნება, თუ ვერ ვისწავლით?“

„ჩვენი,“ - პასუხობს რამდენიმე მოსწავლე ერთდროულად.

„დიახ,“ ხაზს უსვამს სემი. „ჩვენს თავზე ჩვენ ვაგებთ პასუხს“

სემი ურჩევს მოსწავლეებს დაისახონ მიზნები, რომლებიც დაეხმარებათ საკუთარ თავზე აიღონ სწავლის პროცესზე პასუხისმგებლობა. სემის დახმარებით მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ იდეებზე, ხოლო სემი მათ დაფაზე წერს. მეორე დღეს მონიტორინგის სქემას ავრცელებს (გრაფა 11.2), რომელიც წინა დღეს საკლასო დისკუსიის საფუძველზე მოამზადა. ის ასევე ურჩევს მოსწავლეებს მონიტორინგის ფურცელი წიგნების წინ დაიდონ და ყოველ დილით შეამოწმონ. მას შემდეგ, რაც ფურცელი გაიგება, მოსწავლეებს უქნებათ პასუხისმგებლობის პორტფოლიო, რომელიც პროგრესის ჩანაწერს უჩვენებს.

სემი შემდეგ გაითხება მოსწავლეებს, თუ როგორ განსაზღვრავენ, გაიგეს თუ არა დავალება და რამდენიმეხნიანი დისკუსიის შემდეგ ისინი თანხმდებიან, რომ ან კლასში ახსნიან დავალებას, ან სახლში მშობლებს აუხსნიან მას.

ბოლოს ისინი თანხმდებიან, რომ მოსწავლეს, რომელსაც აქვს 18 ან მეტი აღნიშვნა პასუხისმგებლობის მიზნებში და 8 ან მეტი აღნიშვნა სწავლის მიზნებში კვირის განმავლობაში, თავისუფალი დრო უქნება პარასკევს, როცა შეეძლებათ თამაში და სახლიდან მოტანილი გემრიელი საჭმელების მირთმევა. ისინი კი, ვისაც 15-ზე ნაკლები აღნიშვნა უქნება პასუხისმგებლობის მიზნებში, მარტო გაატარებენ „ჩუმ დორს“ ამ პერიოდში. ხოლო მათ,

ვისაც 8-ზე ნაკლები აღნიშვნა უქნება სასწავლო მიზნებში, სემთან ერთად გაატარებენ დროს და იმუშავებენ გაუმჯობესებაზე.

მოდით, განვიხილოთ სემის მცდელობა, დაეხმაროს მოსწავლეებს თვითრეგულაციის განვითარებაში. პირველ რიგში, წლის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ისინი სკოლაში სასწავლად მოვიდნენ და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ამის მისაღწევად აუცილებელი პირობაა. ამით სემმა გამოიყენა პირველი პრინციპი (პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებასა და სწავლას შორის კავშირის ხაზგასმა) და დაიწყო სწავლაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბება.

გრაფა 11.2. მონიტორინგის ფურცელი

| კვირა _____ | სახელი _____ | | | | |
|-----------------------------------|--------------|-----------|-----------|-----------|-----------|
| პასუხისმგებლობის მიზნები | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
| გათლილი ფანქრის მოტანა | ✓ | ✓ | | | |
| წიგნის მოტანა | | | | | |
| რვეულის მოტანა | | | | | |
| ადგილზე ყოფნა, როცა ზარი დარეკავს | | | | | |
| სწავლის მიზნები | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
| დავალების დასრულება | | | | | |
| სამინაო დავალების გაგება | | | | | |

სემმა მეორე პრინციპი გააქტიურა საკლასო პროცედურების ჩამოყალიბების დროს მოსწავლეების წვლილის შეტანით. მოსწავლეების წვლილის შეტანა ზრდის მათ ავტონომიურობის შეგრძნებას, რაც თვითდეტერმინაციის თეორიის მიხედვით ძირითადი საჭიროება (R.Ryan & Deci, 2000). ის ასევე ზრდის ალბათობას, რომ მოსწავლეები მიზნების ერთგულები დარჩებიან, რაკი ისინი თვითონ შექმნეს.

მესამე, სემმა პასუხისმგებლობა წარმოაჩინა როგორც კონცეპტი და მაგალითის საშუალებით მოახდინა ილუსტრირება. მოსწავლეები ზოგჯერ ვერ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, რადგან კარგად არ ესმით მისი მნიშვნელობა და ასევე ვერ აცნობიერებენ კავშირს საკუთარ ქცევებსა და ამ ქცევების შედეგებს შორის. მაგალითის გამოყენებით,

რომელშიც ნაჩვენები იყო პასუხისმგებლობის მქონე მოსწავლის ქცევის შედეგები და ასევე უპასუხისმგებლო მოსწავლის ქცევის შედეგებიც, სემმა თვითრეგულაციის ხელშესაწყობად კონტროლის სტრატეტგიის ნაცვლად ინფორმირების სტრატეგიას მიმართა. როგორც მეათე თავში ნახეთ, ეს სტრატეგია შინაგანი მოტივაციის განვითარებას უწყობს ხელს (Charles & Senter, 2005; Emmer & Stough, 2001).

როდესაც მან თქვა: „*„მე უნდა ვიფიქრო იმის შესახებ, რას გვინდა, რომ მივაღწიოთ და უნდა მოგიყვანოთ მაგალითები, რომლებიც საკითხის უკეთ გავებაში დაგეხმარებათ. ეს ჩემი ნაწილია.“* მან პასუხისმგებლობის გაზრდისათვის გამოიყენა მეოთხე პრინციპი. მან შემდეგშიც გამოიყენა ეს პრინციპი, როდესაც მოსწავლეებს მიზნების დასახვაში დაეხმარა და ეს მიზნები კონკრეტული გახადა.

და ბოლოს, მეხუთე პრინციპის გამოყენებისას, სემმა შექმნა კონკრეტული სტრუქტურა (ფურცელი), რათა დახმარებოდა მოსწავლეებს დასახული მიზნების მონიტორინგში. როცა მოსწავლეები დიდი ხნის განმავლობაში შეავსებენ ამ წესებს, მათ უფრო მეტი შესაძლებლობა ჩნდება, რომ იგრძნონ თვითკამაყოფილება., უფრო მეტი ალბათობით, ისინი ნელ-ნელა უფრო მეტი მონდომებით აიღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და ისწავლიან გადაწყვეტილებების მიღებას, რაც მათი სწავლების პროცესს გააუმჯობესებს. ეს კი თავის მხრივ თვითრეგულაციას გააუმჯობესებს.

სემის მოსწავლეები თვითდეტერმინიზმის თეორიის მიხედვით გარეგანი რეგულაციის საფეხურზე იყვნენ. მათ მიზნების მიღწევა ჯილდოს მიღების - თავისუფალი დროის-მიღებისა და დასჯის - ჩუმი დროის - თავიდან აცილების გამო უნდოდათ. თვითრეგულაციის გაუმჯობესების შემდეგ, სავარაუდოდ, მოსწავლეები საკუთარი მიზნების დასახვას დაიწყებენ, რადგან ნახავენ, რომ მიზნების დასახვისა და მათი მონიტორინგის გზით უფრო მეტს სწავლობენ (R. Ryan & Deci, 2000).

ეს მაგალითი საშუალო სკოლის მოსწავლეებზე იყო, თუმცა თვითრეგულაცია უფრო პატარა მოსწავლეებისთვისაც შეიძლება იყოს მიზანი. პროცესი განვითარების დონის შესაბამისად უნდა იყოს ადაპტირებული. ერთ-ერთ მაგალითში, რომელიც მე-12 თავშია მოცემული, ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებს მართა ოკი თვითრეგულაციის პრინციპებს, როცა მოსწავლეებს ასწავლის დავალების ჩაბარების წესს. მარტამ აჩვენა პროცესი როგორც კონცეპტი, შემდეგ თავად იყო მისი ნიმუში და გამოთქვა მოლოდინი, რომ მოსწავლეები თავის თავზე აიღებდნენ პასუხისმგებლობას, რომ ეს წესი შეესრულებინათ. მარტას ასევე სჯეროდა, რომ თავის პირველკლასელ მოსწავლეებს შეეძლოთ მნიშვნელოვანი წვლილს შეტანა კლასის შეხვედრებში. ეს ყველა არის თვითრეგულაციის განვითარების ნაწილი.

შეამოწმეთ თქვენი ცონდა

- 2.1. აღწერეთ სტრატეგიები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს თვითრეგულაციის გაზრდისათვის და ახსენით, როგორ გამოიყენა სემმა ეს პრინციპები თავის მოსწავლეებთან.
- 2.2. სემის მოსწავლეები გარეგანი რეგულაციის საფეხურზე იყვნენ თვითრეგულაციის

განვითარების თვალსაზრისით. მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს უფრო მეტ თვითრეგულაციაზე გადასვლას.

2.3. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სემმა თვითრეგულაციის სტრატეგიის ხელშესაწყობად კონტროლის სტრატეგიის ნაცვლად ინფორმირების სტრატეგიას მიმართა. ახსენით, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ეს ორი მიდგომა.

კითხვებზე უკუკავშირის მისაღებად იხილეთ დანართი ბ.


| თვითრეგულაციის ხელშეწყობა თქვენს კლასში | <ul style="list-style-type: none">საბაზო საფეხური: მეშვიდე კლასის ისტორიის მასწავლებელი ახალ თემას უხსნის მოსწავლეებს. მოსწავლეები მიზნად ისახავენ, უპასუხონ და გაიგონ ახალი თემის კითხვები ყოველ კვირას. ისინი შლიან იმ შეკითხვას, რომელსაც უპასუხეს და რომელიც ფიქრობენ, რომ გაიგეს.საშუალო საფეხური: ფიზიკის მოსწავლეები მიზნად ისახავენ შექმნან ერთი პრაქტიკული მაგალითი იმ თემაზე, რომელიც ისწავლეს. როცა ფიქრობენ, რომ კარგი მაგალითი შექმნეს, ისინი კლასს სთავაზობენ მას ანალიზისა და დისკუსიისთვის. |
|---|--|
| განავითარეთ მოსწავლის პასუხისმგებლობის გრძნობა მიზნების დასახვით, თვითმონიტორინგითა და მეტაკოგნიციით. | <ul style="list-style-type: none">დაწყებითი საფეხური: მეოთხე კლასის მასწავლებელი ყოველ კვირა წარმოადგენს კვირის პრობლემას მათემატიკაში. მოსწავლეები ისახავენ მიზანს, რომ ეს პრობლემა გადაჭრან, როდესაც მოსწავლეები დავალებას შეასრულებენ, მას პორტფოლიოში დებენ და ერთ აღნიშვნას აკეთებენ პორტფოლიოს პირველ გვერდზე. მას შემდეგ, რაც ამ დავალებას აუხსნიან მშობელს, სხვა უფროსს ან და-ძმას, მეორე აღნიშვნას აკეთებენ. კვირის ბოლოს ამ დავალებას კლასში განიხილავენ. |

მასწავლებლის მახასიათებლები: პერსონალური თვისებები, რომლებიც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას უზრდის

ამ ნაწილის ერთ-ერთი მთავარი თემა ის არის, რომ მასწავლებლებს მოსწავლის სწავლის პროცესში ძალიან დიდი როლი შეაქვთ, იგივე შეიძლება ითქვას მოტივაციაზეც. მასწავლებლები ქმნიან სასწავლო გარემოს, ნერგავენ სწავლების პროცესს და აყალიბებენ

სწავლაზე ორიენტირებულ ან მიღწევაზე ორიენტირებულ კლასს. არც ერთი ეს კომპონენტი არ არის ეფექტური, თუ მასწავლებელს არ აქვს აუცილებელი მახასიათებლები. ისინი 11.3 გრაფაზეა ნაჩვენები.

11.3 გრაფა. მასწავლებლის მახასიათებლები მოსწავლის მოტივაციის ამაღლების მოდელში



სწავლების პირადი თვით-ეფექტურობა (self-efficacy): სწავლისა და სწავლებლის პროცეზე წარმოდგენები

მეათე თავში ვნახეთ, რომ თვითეფექტურობა ეს არის ინდივიდის წარმოდგენები საკუთარი საჭირო უნარების შესახებ, რომელიც კონკრეტული დავალების შესრულებისათვის არის აუცილებელი. სწავლების პირადი თვითეფექტურობა არის მასწავლებლის წარმოდგენა საკუთარ თავზე, რომ მას შეუძლია მათი წინა ცოდნისა და უნარების მიუხედავად, ყველა მოსწავლეს მიაღწევინოს წარმატებას (Brouning et al., 2004; Langer, 2000).

მასწავლებლები, რომლებსაც მაღალი თვითეფექტურობა აქვთ, პასუხისმგებლობას იღებენ სწავლების პროცესში წარმატებასა და წარუმატებლობაზე (V, Lee, 2000). ასეთი მასწავლებლები სამართლიანები, მაგრამ მომთხოვნები არიან. ისინი სწავლების პროცესის დროს მაქსიმალურად იყენებენ, აქებენ მოსწავლეებს გაზრდილი კომპეტენციებისთვის, თავს

იკავებენ დაჯილდოებისგან ქცევის კონტროლის მიზნით (Roosier, Marachi, & Gehlbach, 2002). დაბალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლები, ამის საპირისპიროდ, უფრო მეტი ალბათობით დააბრალებენ დაბალ მოსწრებას ინტელექტის ნაკლებობას, სახლში ცუდ პირობებს, არაკონპერატიულ ადმინისტრაციას ან სხვა გარეგან ფაქტორებს. მათ აქვთ დაბალი მოლოდინები, სასწავლო აქტივობებზე ნაკლებ დროს ხარჯავენ, „ხელს ჩაიქნევენ“ დაბალი მიღწევის მქონე მოსწავლეებზე და უფრო კრიტიკულები არიან, როცა მოსწავლე წარმატებას ვერ აღწევს (Brouwers & Tomic, 2001; Henson, Kogan Vacha-Haase, 2001). დაბალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლები უფრო მეტად არიან კონტროლზე ორიენტირებულნი და მოსწავლეთა ავტონომიურობას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მაღალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლებთან შედარებით (Henson et al., 2001).

გასაკვირი არ არის, რომ მოსწავლეები, რომლებსაც მაღალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლები ასწავლიან, უფრო მეტს სწავლობენ ვიდრე ისინი, ვისაც დაბალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლები ასწავლიან (Tschanne-Moran, Woolfolk-Hoy, & Hoy, 1998). გარდა ამისა, დაბალი თვითეფექტურობა იწვევს მასწავლებლის ნეგატიურ ემოციებს, სტრესს და მასწავლებლის გადაღლას.

ყველა მოსწავლისთვის სასარგებლოა **მაღალი კოლექტიური თვითეფექტურობის სკოლაში** სწავლა, ანუ ისეთ სკოლაში, რომელშიც უმეტეს მასწავლებლებს მაღალი თვითეფექტურობა აქვთ (Goddard, 2001; Goddard, oy & Woolfolk-Hoy, 2000). ასეთი ტიპის სკოლები განსაკუთრებით გამოირჩევა მოსწავლეების, მათ შორის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ოჯახის წარმომადგელი მოსწავლეების, მიღწევაზე პოზიტიური ეფექტით. მეოთხე თავში თქვენ ნახეთ, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ღჯახსა და მოსწავლის დაბალ მიღწევას შორის მაღალი კორელაცია (Macionis, 2006). თუმცა მაღალი კოლექტიური თვითეფექტურობის სკოლებში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ოჯახის მოსწავლეებს აქვთ მაღალი მიღწევები (V. Lee, 2000). ასევე, ძალიან მცირეა განსხვავება დაბალ, საშუალო და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მოსწავლეებს შორის მიღწევების თვალსაზრისით, როცა სკოლაში კოლექტიური თვითეფექტურობა მაღალია (V. Lee, 2000). სხვა სიტყვებით, ასეთი სკოლა ეხმარება მიღწევების თვალსაზრისით განსხვავებულობის შემცირებას სხვადასხვა ჯგუფს შორის.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ კოლექტიური თვითეფექტურობის გასაზრდელად? საუკეთესო, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ, არის იყოთ მუდმივად პოზიტიური, მაშინაც კი, როცა თქვენი კოლეგები ცინიკურად ან პესიმისტურად არიან განწყობილი და გაახსენოთ მათ კვლევის შედეგები, რომელიც ადასტურებს, თუ რა მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდისთვის.

მოდელირება და ენთუზიაზმი: ინტერესის კომუნიკაცია

მასწავლებლები თავიანთ წარმოდგენებს სწავლისა და სწავლების შესახებ აჩვენებენ იმით, თუ როგორ იქცევიან. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა შეუძლებელია, თუ მასწავლებელი თვითონ აჩვენებს დისტანციას ან ინტერესის ნაკლებობას საკითხისადმი, ან ასწავლის ასეთი

წინადადებების თანხლებით: „ვიცი, რომ ეს საკითხები მოსაწყენია, მაგრამ უნდა ვისწავლოთ,“ „ვიცი, რომ ეს საკითხები არ არის გასართობი,“ „ეს არც ჩემი საყვარელი თემაა.“

ამის საპირისპიროდ, მოსწავლეები უფრო დიდი ინტერესით ისწავლიან უინტერესო საკითხებსაც კი, თუ მასწავლებელი თავად იჩენს ამ საკითხების მიმართ ინტერესს. მაგალითად, როცა გეოგრაფიის მასწავლებელი ამბობს „გეოგრაფიას ძალიან დიდი გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე. მაგალითად, ნიუ იორკი, ჩიკაგო და სან ფრანცისკო ძირითადი ქალაქები უმიზეზოდ არ გამხდარა. მათი წარმატება მათ გეოგრაფიას უკავშირდება,“ ან, როდესაც ინგლისურის მასწავლებელი აჩვენებს კარგად დაწერილ და უშეცდომო ნაწერს და ამბობს, „ნახეთ, როგორ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ნაწერი მკითხველზე.“ მასწავლებლის ინტერესს შეუძლია გაზარდოს მოსწავლის სწავლის მოტივაცია. ნებისმიერი მცდელობისგან განსხვავებით, რომ მოსწავლეები გავართოთ, ინტერესის გამოხატვა აჩვენებს მოსწავლეებს, რომ ინფორმაცია მნიშვნელოვანია და ღირს მისი სწავლა (Brophy, 2004; Good & Brophy, 2003). კვლევები მიუთითებს, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც მაღალი ენთუზიაზმის მქონე მასწავლებლები ასწავლიან, უფრო მაღალი მოსწრება აქვთ იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებსაც დაბალი ენთუზიაზმის მქონე მასწავლებლები ასწავლიან (B.C. Patrick, Hisley, & Kempler, 2000).

მასწავლებელს ასევე შეუძლია მოსწავლის მოტივაციაზე გავლენის მოხდენა სწავლების პროცესზე გავრცელებული შეხედულებების კომუნიკაციით. მაგალითად, „რაც უფრო მეტს ვსწავლობ, უფრო ჭკვიანი ვხდები“, როდესაც მასწავლებელი ამ ფრაზას ამბობს, მოსწავლეებს აჩვენებს, რომ მონდომება სასურველია და რომ ის შესაძლებლობებს ავითარებს. ამის თქმით მასწავლებელი ზრდის ალბათობას, რომ მოსწავლე დაფიქრდება ამ შეხედულებებზე (Bruning et al., 2004).

მზრუნველობა: კუთვნილების შეგრმნების აუცილებლობის დაკმაყოფილება

- პირველი კლასის მასწავლებელი თავის მოსწავლეებს ყოველ დილით ესალმება ჩახუტებით ან „ხელის ჩარტყმით“.
- მეხუთე კლასის მასწავლებელი დაუყოვნებლივ ურეკავს მშობლებს, თუ მოსწავლე დავალებას არ ჩააბარებს ან გააცდენს ერთზე მეტ გაკვეთილს მიყოლებით.
- პირველი კვირის ბოლოს ალგებრის მასწავლებელმა თავისი სამივე კლასის ყველა მოსწავლის სახელი იცის და სადილის დროს თავის ოთახში რჩება, რათა ჩამორჩენილ მოსწავლეებს დაეხმაროს.

თითოეული ეს მაგალითი მზრუნველობას აჩვენებს, რაც გულისხმობს მასწავლებლის ემპათიას და მოსწავლეების დაცვასა და მათ კეთილდღეობაში ინვესტირებას (Noddings, 2001). მზრუნველ მასწავლებლებს შეუძლიათ განავითარონ მოსწავლეების კუთვნილების შეგრმნება და საჭიროება, რომლის წინაც მასლოუს იერარქიაში მხოლოდ უსაფრთხოება დგას (Maslow, 1968, 1970). მზრუნველობის მნიშვნელობა ნაჩვენებია მეოთხეკლასელი მოსწავლის კომენტარში: „თუ მასწავლებელი შენზე არ ზრუნავს, ეს შენს აზროვნებაზე ახდენს გავლენას. შენ თავს გრძნობ ისე, თითქოს არაფერს წარმოადგენ და ეს სკოლის მიტოვებას განდომებს“ (Noblit, Rogers, & McCadden, 1995).

კვლევა ადასტურებს ამ აზრს. ერთ კვლევაში აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს აქვთ დაბალი შინაგანი მოტივაცია, თუ მათ ჰყავთ ცივი და არამზრუნველი მასწავლებელი (R.Ryan & Deci, 2000). სხვა კვლევის მიხედვით, მოსწავლეები უფრო ჩართულნი არიან საკლასო აქტივობებში, როცა ისინი ფიქრობენ, რომ მასწავლებელს ისინი მოსწონს და ყურადღებას ამახვილებს მათ საჭიროებებზე(Osterman, 2000).

მზრუნველობის ჩვენება

როგორ ავლენებ მასწავლებლები, რომ მოსწავლეებზე ზრუნავენ? ეს რამდენიმე საკითხში ჩანს (Alder, 2002; Osterman, 2000; Wilder, 2000):

- მალევე დაიმახსოვრეთ მოსწავლეების სახელები და მიმართეთ მათ სახელებით;
- მიესალმეთ ყველას სასიამოვნოდ და ინდივიდუალურად გაიცანით თითოეული;
- დაამყარეთ თვალებით კონტაქტი, გაიღიმეთ, დაიხარეთ საუბრისას მათვენ, აჩვენეთ სხეულის ენა:
- საკლასო აქტივობებზე საუბრისას გამოიყენეთ „ჩვენ“ და „ჩვენი“:
- გაატარეთ მეტი დრო მოსწავლეებთან:
- გამოხატეთ მოსწავლეების, როგორც ინდივიდების მიმართ პატივისცემა.

ბოლო ორ პუნქტს ამ სიაში განსაკუთრებული ხაზგასმა სჭირდება. ჩვენ ყველას მხოლოდ 24 საათი გვაქვს დღეში - არც მეტი და არც ნაკლები - როგორ ვატარებთ მას, მიუთითებს ჩვენს პრიორიტეტებზე. მოსწავლესთან ინდივიდუალური დროის გატარება ყველაზე უკეთ აჩვენებს მზრუნველობას. მოსწავლის დახმარება დავალებაში ან სასკოლო დროის შემდეგ მის მშობელთან დარეკვა აჩვენებს, რომ მასწავლებელი მოსწავლის სწავლაზე ზრუნავს. დროის დახარჯვა იმაზე, რომ მოსწავლეს პატარა ძმის შესახებ ჰქითხოთ ან მისი ახალი ვარცხნილობა მოიწონოთ, აჩვენებს, რომ თქვენ ზრუნავთ მათზე, როგორც ინდივიდებზე.

პატივისცემის ჩვენება ასევე აუცილებელია. მასწავლებელმა პატივისცემა მრავალი გზით შეიძლება გამოხატოს, მაგრამ სტანდარტის შენარჩუნება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა:

ერთ-ერთი საუკუთხესო გზა, რომ მოსწავლეს პატივისცემა ვაჩვენოთ, არის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება - არ მივიღოთ დაუსრულებელი, დაბალი ხარისხის დავალება, დავეხმაროთ მას, რომ ბუნდოვანი პასუხები გააუმჯობესოს, წავახალისოთ, რომ არ დანებდნენ და არ შევაქოთ დავალება, რომელიც არ აჩვენებს მონდომებას. ირონიულია, რომ ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია მოსწავლის თვითშეფასების შენარჩუნებისკენ - როგორიცაა დაბალი ხარისხის დავალების მიღება - მიუთითებს ინტერესის, მოთმინებისა და მზრუნველობის ნაკლებობაზე (Stipek, 2002).

ამ აზრს კვლევებიც ადასტურებს. კითხვაზე „საიდან იცით, როცა მასწავლებელი თქვენზე ზრუნავს?“ მოსწავლეებმა უპასუხეს, რომ მასწავლებლის მხრიდან მათვის ყურადღების მიქცევა, როგორც ინდივიდებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მზრუნველი მასწავლებლები ინარჩუნებენ მაღალ სტანდარტებს (B.L.Wilson & Corbett, 2001).

პატივისცემა, რასაკვირველია, ორმხრივია. მასწავლებლები პატივისცემით უნდა მოექცნენ მოსწავლეებს და ამის სანაცვლოდ აქვთ უფლება, რომ იგივე მიიღონ მათგანაც. „ყველას პატივისცემა“ არის წესი, რომელიც უნივერსალურად უნდა დამკვიდრდეს კლასში. შესაძლებელია მცირე ინცინდენტები მოხდეს, მაგრამ მასწავლებლებმა ცხადად უნდა განმარტონ, რომ ქრონიკული უპატივცემულობა მიუღებელია.

მასწავლებლის მოლოდინები: კომპეტენციის გაზრდა

პიზიტიური მოლოდინები მასწავლებლის მეოთხე მახასიათებელია ჩვენს მოდელში.

მასწავლებლის მოლოდინებს მოსწავლეების სწავლის მიმართ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს იმაზე, თუ რეალურად რას სწავლობენ მოსწავლეები. მოლოდინები გავლენას ახდენს კურიკულუმის სწრაფად გავლასა და შინაარსზე, სწავლების პროცესის ორგანიზებაზე, შეფასებაზე, მოსწავლის გამუნიკაციასა და ბევრ სხვა ქცევაზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პირად მოლოდინებზე საკუთარი სწავლის შესახებ და, შესაბამისად, მის ქცევაზე (Stipek, 2002).

მოსწავლის სწავლის მოტივაციის გასაზრდელად მასწავლებლებმა მათ კომპეტენტურად უნდა აგრძნობინოს თავი, რაც თვითდეტერმინაციის თეორიის მიხედვით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. სამწუხაროდ, მასწავლებლის მოლოდინმა შეიძლება მას გააკეთებინოს ან ათქმევინოს ისეთ რამ, რაც არაკომპეტენტურობას აჩვენებს (R. Weinstein, 2002).

ზოგიერთ შემთხვევაში, ამგვარი ქცევა მთელი კლასისკენ არის მიმართული. მაგალითად, შეადარეთ შემდეგი ორი კომენტარი:

„ეს ახალი იდეაა, რომელიც ნამდვილი გამოწვევაა, თუმცა, თუ კარგად იმუშავებთ, ვიცი, რომ მის დაძლევას შეძლებთ. თქვენ შეიძლება ბევრი შეკითხვა გაგიჩნდეთ, ამიტომ, თუ რაიმეს კითხვა გინდათ, ხელი აიწიეთ.“

„ეს მასალა რთულია, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ზოგიერთ თქვენგანს სირთულეები ექნება მისი დაძლევისას, ამიტომ მე თქვენ გვერდით ვიქნები, რომ დაგეხმაროთ. არ იხმაუროთ, სანამ არ დავასრულებ.“

პირველმა მასწავლებელმა აღიარა, რომ დავალება რთულია, მაგრამ ხაზი გაუსვა მოსწავლეთა კომპეტენტურობას იმის თქმით, რომ ის ელოდება მოსწავლეებისგან წარმატებას. მეორე მასწავებელმა მოსწავლეებს უთხრა, რომ ისინი არაკომპეტენტურები არიან: „ზოგიერთ თქვენგანს სირთულეები ექნება მისი დაძლევისას.“ ასეთს კომენტარებს შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეს მოსწავლის მოტივაციაზე.

უფრო ხშირად, მასწავლებლის მოლოდინები უფრო პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსწავლეზე. უფრო კონკრეტულად, მასწავლებლები განსხვავებულად ექცევიან მოსწავლეებს, რომლებზეც ფიქრობენ რომ უფრო მაღალი მიღწევები აქვთ (R. Weinstein, 2002). ეს განსხვავებული მოქცევა, ჩვეულებრივ, ოთხ სხვადასხვა ფორმას იღებს (Good, 1987a, 1987b; Good & Brophy, 2003).

- ემოციური მხარდაჭერა: მასწავლებლები უფრო პოზიტიურად ურთიერთობენ მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეებთან. უფრო ხშირად ამყარებენ მათთან თვალებით კონტაქტს, მათთან ახლოს დგანან და მათვენ უფრო პირდაპირ მიმართავენ სხეულს. ამ მოსწავლეებს უფრო წინ სვამენ.
- მასწავლებლის მონდომება და მოთხოვნები: მასწავლებლებლები მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეებს უფრო დეტალურ განმარტებას აძლევენ, მათი სწავლების პროცესი უფრო მეტი ენთუზიაზმით გამოიჩინა, მეტ შეკითხვას აძლევენ და მათგანაც უფრო სრულ და ზუსტ პასუხებს მოითხოვენ.
- გამოკითხვა: მასწავლებლები იმ მოსწავლეებს უფრო ხშირად იძახებენ, ვინც მაღალი მიღწევის ჰგონიათ, მეტ დროს აძლევენ საპასუხოდ და უფრო ხშირად ამხნევებენ მათ.
- უკუკავშირი და შეფასება: მასწავლებლები იმ მოსწავლეებს უფრო ხშირად აქებენ, ვინც მაღალი მიღწევის ჰგონიათ და ნაკლებად აკრიტიკებენ მათ. აძლევენ მათ უფრო სრულ უკუკავშირს.

განსხვავებული მოქცევა გავლენას ახდენს მოსწავლის მოლოდინებზე წარმატების შესახებ. მასწავლებლის მოლოდინი მოსწავლის მიმართ - მაღალი თუ დაბალი - შეიძლება გახდეს წინასწარმეტყველება, ფენომენი, რომლის დროსაც ადამიანის შედეგები ადასტურებს მისი უნარების მიმართ წარმოდგენას (R. Weinstein, 2002). ჩვენ ეს თვითეფექტურობის თეორიით შეგვიძლია ავხსნათ. პოზიტიური მოლოდინების კომუნიკაცია აჩვენებს მოსწავლეებს, რომ ისინი შეიძლება წარმატებული იყვნენ და როცა ისინი არიან, მათი თვითეფექტურობა იზრდება და მყარდება პოზიტიური ურთიერთობა მოტივაციასა და მიღწევას შორის. შეიძლება მოხდეს ამის საწინააღმდეგოც. დაბალი მოლოდინების კომუნიკაციამ შეიძლება მოსწავლეს აჩვენოს, რომ არ აქვთ საკმარისი უნარები, ამიტომ ისინი უფრო ნაკლებ შედეგს მიაღწევენ.

ყველა ასაკის ბავშვს აქვს წარმოდგენა მასწავლებლის განსხვავეულ მოლოდინებზე მოსწავლეების მიმართ (Stipek, 2002). ერთ კვლევაში მკვლევარმა დაასკვნა: პირველი ნახვიდან ათი წამის შემდეგ მოსწავლეებმა უკვე იციან მასწავლებლის დამოკიდებულება ძლიერი და სუსტი მოსწავლეებისადმი და ისიც, თუ რა დონეზე ყყვარს მასწავლებელს ესა თუ ის მოსწავლე“ (Babad, Bernieri, & Rosenthal, 1991, p 230).

ამ თავის ერთ-ერთი მიზანი იყო იმის გაანალიზება, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მოლოდინებს მოტივაციასა და მიღწევაზე. მოლოდინები ძირითადად ქვეცნობიერია და მასწავლებლები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ განსხვავებული მოლოდინები აქვთ სხვადასხვა მოსწავლის მიმართ. გაცნობიერებისა და მონდომების გზით მათ შეუძლიათ თანაბრად მაღალი მოლოდინების შექმნა ყველა მოსწავლის მიმართ. ამის მაგალითია ელაინ ლაულესის გამოცდილება. როცა მან დაიწყო ყველა მოსწავლის გამოძახება, მან დაუყოვნებლივ ნახა შედეგი: „ჯოზეფმა ჩემი დღე გააბედნიერა. მან თავის კლასელს უთხრა, - ჩამოწიე ხელი, მისის ლაულესი ყველას გვეკითხება. ის ფიქრობს, რომ ჩვენ ყველანი ჭკვიანები ვართ.“ (ელაინ ლაულესი, პერსონალური კომუნიკაცია, 19 თებერვალი, 2002).

დემონსტრირება იმ პირადი თვისებებისა, რომლებიც მოტივაციას ამაღლებენ: სწავლების

პრინციპები

პირადი თვისებები ხელს უწყობენ მოტივაციას რამდენიმე გზით. პირადი თვისებების დემონსტრირებისას დაგეხმარებათ შემდეგი პრინციპები:

1. ირწმუნეთ თქვენი უნარის, რომ ყველა მოსწავლეს შეგიძლიათ ასწავლოთ;
2. შეინარჩუნეთ თანაბარი მოლოდინები ყველა მოსწავლის მიმართ;
3. მოდელირება გაუწიეთ პასუხისმგებლობას, მონდომებას და ინტერესს იმ საკითხის მიმართ, რომელსაც ასწავლით;
4. აჩვენეთ მზრუნველობა და გაატარეთ გარკვეული დრო თქვენს მოსწავლეებთან გაკვეთილის შემდეგ.

მოდით, ვნახოთ, როგორ გამოიყენა ეს პრინციპები დევონემ მეხუთე კლასელებთან მუშაობისას.

„ადრე მოხვედი“, ეუბნება კარლა უთლეი, დევონეს კოლუგა მას 7:15-ზე. „არ ვართ ვალდებული 45 წუთით ადრე მოვიდეთ“

„მოსწავლეებს უნდა შევხვდე, “პასუხობს დევონე, „წერის გაკვეთილი ჩავატარე გუშინ და მათი ნაწერები მთელ კლასში შევაფასეთ. მოსწავლეთა უმეტესობამ, მაგალითად, თუმ და საღეინამ ძალიან კარგად გაართვეს თავი დავალებას... მაგრამ, ზოგიერთი ჩამორჩა. ამიტომ ჯასტინი, პისი და როზა მოდიან და უფრო მეტი უნდა ვივარჯიშოთ. ყველაზე მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეები არ არიან, მაგრამ ვიცი, რომ მეტის გაკვეთებაში შემიძლია დავეხმარო. კარგი ბავშვები არიან. უბრალოდ ცოტა ჩამორჩებიან... განსაკუთრებით როზა. შტატებში ერთი წელია, რაც ცხოვრობს და როცა მოვიდა, ერთი სიტყვაც არ იცოდა ინგლისურად. ძალიან დიდი პროგრესი აქვს.“

7:30-ზე დევონე ელოდება ჯასტინს, პისისა და როზას კლასის წინ. ულიმის მათ და ეუბნება: „ცოტა უფრო მეტი უნდა ვივარჯიშოთ. მე ვიცი, რომ თქვენ ყველას შეგიძლიათ, ძალიან კარგად წეროთ. ჩემს შემთხვევაშიც ასეა. ვივარჯიშე, ვივარჯიშე, ვივარჯიშე და ახლა უკვე კარგად ვწერ. თქვენც იგივე შეგიძლიათ გაკუთოთ.. მოდით, თქვენს ნაწერებს კიდევ ერთხელ შევხედოთ“

დევონე ჯასტინის ნაწერს იღებს და კითხულობს: „რა შეიძლება გაკუთდეს, რომ ნაწერი გაუმჯობესდეს?“

„მან უნდა ისაუბროს ან ბიჭზე, ან სახლზე, “პასუხობს როზა

„სწორია, ერთ-ერთ თემაზე ფოკუსირება მნიშვნელოვანია“

ჯგუფი ერთად განიხილავს ყველას ნაწერს და რჩევებს აძლევს ერთმანეთს გაუმჯობესებისთვის.

ამის შემდეგ დევონე ამბობს: „ახლა თქვენ თავიდან დაწერთ ამ თემას რჩევების მიხედვით. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გადავხედავთ მათ.“

მოსწავლეები თავიდან წერენ თემას და ყველა ერთად კვლავ განიხილავს მათ.

„საკმაო პროგრესია,“ ამბობს დევონე „თუ ასე გავაგრძელებთ, ჩვენ საკმაოდ დიდ პროგრესს მივაღწევთ. ხვალ იმავე დროს შევხვდებით, 7:30 -ზე“

განვიხილოთ დევონეს მცდელობა პირადი თვისებების გამოყენებისა მოტივაციის გასაზრდელად. როცა მან კარლას უთხრა, „ვიცი, რომ მეტის გაკეთებაში შემიძლია დავეხმარო. კარგი ბავშვები არიან.“ მან პოზიტიური მოლოდინი გამოხატა და გამოიყენა მეორე პრინციპი (ყველა მოსწავლის მიმართ თანაბარი მოლოდინების შენარჩუნება). მისი კომენტარი აჩვენებდა, რომ ის ყველა მოსწავლისგან ელოდება პროგრესს და არა მარტო მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეებისგან.

მცირე ჯგუფში მუშაობისას მან მესამე პრინციპიც გამოიყენა, პასუხისმგებლობისა და მონდომების მოდელირება: „ვივარჯიშე, ვივარჯიშე, ვივარჯიშე და ახლა უკვე კარგად ვწერ. თქვენც იგივე შეგიძლიათ გააკეთოთ.. მოდით, თქვენს ნაწერებს კიდევ ერთხელ შევხედოთ.“

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ დევონემ გამოიჩინა მზრუნველობა მოვიდა რა 45 წუთით ადრე და დაუთმო თავისი დრო მოსწავლეების დახმარებას. მან გამოხატა პატივისცემა მოსწავლეების მიმართ, რაც აუცილებელია მოტივაციის გაზრდისთვის.

ჩვენ თქვით, რომ მოტივაციის გაზრდის მოდელის ელემენტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამ დამოკიდებულებას დევონეს მაგალითიდან ვხედავთ. მაგალითად, მოსწავლეები ცდილობდნენ გაემართლებინათ მასწავლებლის მოლოდინი, იმიტომ, რომ მათ სჯეროდათ, რომ მასწავლებელი მათზე ზრუნავს. თუ მოსწავლეებს არ სჯერათ, რომ მასწავლებელი მათი სწავლისადმი მონდომებულია, მაღალმა მოლოდინმა შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს, რადგან მას მოსწავლეები უსამართლობად აღიქვამენ. ამის მსგავსად, შეუძლებელია მაღალი სტანდარტების შენარჩუნება, თუ მასწავლებლები თავად არ გამოხატავენ ინტერესს იმ საკითხისადმი, რომელსაც ასწავლიან. მხოლოდ ერთი ან ორი მახასიათებელი არ არის საკმარისი. მასწავლებლებმა ყველა საჭირო მახასიათებელი უნდა გამოავლინონ, რათა მოსწავლის მოტივაცია გაზარდონ.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- 3.1. დაასახელეთ მასწავლებლის პირადი მახასიათებლები, რომლებიც მოსწავლის სწავლისადმი მოტივაციას ზრდის.
- 3.2. კვლევის თანახმად მაღალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლები სწავლების სტრატეგიებს უფრო ხშირად ცვლიან, ვიდრე დაბალი თვით-ეფექტურობის მქონე მასწავლებლები. მასწავლებლის პირადი მახასიათებლების მიხედვით, ახსენით ეს შედეგი.
- 3.3. ამ სექციაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, რა არის ყველაზე ეფექტური გზა

ენთუზიაზმის საჩვენებლად? ახსენით.

3.4. ახსენით, თუ რატომ ნიშნავს მასწავლებლის მიერ ყველა მოსწავლის არგამომახება მათ მიმართ დაბალი მოლოდინის ქონას.

კითხვებზე უკუკავშირის მისაღებად იხილეთ დანართი ბ.

პერსონალური მახასიათებლების დემონსტრირება მოტივაციის გაზრდისთვის კლასში

მზრუნველობა

1. აჩვენეთ, რომ ზრუნავთ მოსწავლეზე პატივისცემის გამოხატვითა და პირადი დროის მათვის დათმობით

- **დაწყებითი საფეხური:** პირველი კლასის მასწავლებელი ყოველდღე ესალმება მოსწავლეებს კლასში შესვლის შემდეგ. ის კვირაში რამდენიმეჯერ ესაუბრება მოსწავლეებს რაიმე პირადის შესახებ.
- **საბაზო საფეხური:** გეოგრაფიის მასწავლებელი ურეკავს მასწავლებელს, როგორც კი რაიმე აკადემიური ან პირადი პრობლემა ექმნება მოსწავლესთან. ის ხაზს უსვამს მშობლების დახმარების მნიშვნელობას პრობლემის გადაჭრაში.
- **საშუალო საფეხური:** ალგებრის მასწავლებელი დამატებით გაკვეთილებს მართავს კვირაში სამჯერ. მასწავლებლებს შეუძლიათ დაესწრონ და მიიღონ დახმარება დავალების შესრულებისას, განიხილონ რთული საკითხები ან სხვა ნებისმიერი პრობლემა, რომელიც კლასსა და სკოლას ეხება.

მოდელირება და ენთუზიაზმი

2. აჩვენეთ ინტერესი იმ საკითხის მიმართ, რომელსაც ასწავლით

- **დაწყებითი საფეხური:** ინდივიდუალური კითხვის დროს, მეოთხე კლასის მასწავლებელი კომენტარს აკეთებს წიგნზე, რომელიც მას უყვარს და ასევე კითხულობს მაშინ, როცა მოსწავლეები კითხულობენ.
- **საბაზო საფეხური:** მეცნიერების მასწავლებელს კლასში მოაქვს მეცნიერების ჟურნალებიდან ამოჭრილი სტატიები და მოსწავლეებს მოუწოდებს, მათაც იგივე გააკეთონ. ის განიხილავს სტატიებს და ამაგრებს მას კედელზე.
- **საშუალო საფეხური:** მსოფლიო ისტორიის მასწავლებელი ხშირად ახსენებს, რომ ისტორიას დიდი გავლენა აქვს თანამედროვე ცხოვრებაზე.

პოზიტიური მოლოდინები

3. ყველა მოსწავლის მიმართ თანაბარი მოლოდინები შეინარჩუნეთ

- **დაწყებითი საფეხური:** მეორე კლასის მასწავლებელი ყველა მოსწავლეს თანაბრად იძახებს და ყველას აძლევს რთულ შეკითხვებს.
- **საბაზო საფეხური:** როცა მოსწავლეები პრობლემის შესახებ წუწუნებენ, ალგებრის მასწავლებელი უხსნის მათ, თუ რა მნიშვნელოვანია ეს პრობლემები და ეუბნება მათ, რომ ერთადერთი გზა ამ პრობლემების გადასაჭრელად არის ვარჯიში.
- **საშუალო საფეხური:** როცა ამერიკის ისტორის მასწავლებელი იღებს ცუდად დაწერილ თემებს, ის კარგად დაწერილ მაგალითს გამოფენს და მოითხოვს, მოსწავლეებმა თავიდან დაწერონ დავალება.

კლიმატური ცვლადები: მამოტივირებელი გარემოს შექმნა

რადგან მოსწავლეები კლასში დიდ დროს ატარებენ, ისინი გრძნობენ, არის თუ არა კლასი მათვის უსაფრთხო გარემოეს შეგრძნებები ასახავს საკლასო კლიმატს. საკლასო პოზიტიურ გარემოში მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად მუშაობენ და ეხმარებიან ყველას მაღალი შედეგების მიღწევაში (Palincsar, 1998; Rogoff, 1998). მიზანი არის მოსწავლეების უსაფრთხოების შეგრძნების ხელშეწყობა წარმატების და გამოწვევის შეგრძნებებთან ერთად (იხ. 11.4 გრაფა).

ვნახოთ, როგორ შეუძლია მასწავლებელს პოზიტიური კლიმატის შექმნა.

წესრიგი და უსაფრთხოება: კლასი, როგორც სწავლისთვის უსაფრთხო გარემო

წესრიგი და უსაფრთხოება არის კლიმატის ცვლადები, რომლებიც ქმნის მოწესრიგებულ სასწავლო გარემს და ხელს უწყობს მოსწავლის ავტონომიურობას ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებასთან ერთად. ეს პიაჟეს თეორიასა და (1970,1977) და თვითდეტერმინიზმის თეორიას ეფუძნება.

თვითდეტერმინიზმის თეორიის მიხედვით, ავტონომია ძირითადი საჭირობაა, რომელიც გამოიხატება მოსწავლესთან საკლასო გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების გაყოფაში. ამის რამდენიმე მაგალითია, მოსწავლის წვლილი საკლასო პროცედურების შექმნაში, მოსწავლეების მიერ მიზნების დასახვაში და მონიტორინგი. ის ასევე შეიძლება იყოს მოსწავლეებისთვის საკლასო აქტივობების ტიპის არჩევის უფლების მიცემა და საშინაო დავალების ჩაბარების დღის განსაზღვრის უფლების მიცემა.

უსაფრთხო საკლასო გარემოს არსებობის საჭიროება შეიძლება მოტივაციის ჰუმანისტური თვალთახედვის მიხედვითაც ავხსნათ. მაგალითად, უსაფრთხოება, მასლოუს (1970) იერარქიის მიხედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომელიც მხოლოდ გადარჩენის სურვილს ჩამორჩება. ინფორმაციის გადამუშავების თეორიის მიხედვით, შეშინებული მოსწავლის სამუშაო მექანიზმება შეიძლება გაივსოს მხოლოდ იმაზე შიშით, რომ ვინმე მას გააკრიტიკებს. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია (1995) ემოციურ უსაფრთხოებას

ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნეს, რომ შეიმუშავა მოსწავლეზე ორიენტირებული ფსიქოლოგიის პრინციპები.

მასწავლებლები პატივისცემის მაგალითს თვითონ აძლევენ მოსწავლეებს და მოლოდინი აქვთ, რომ მოსწავლეები მასაც და ერთმანეთსაც პატივისცემით მოეპყრობიან (Barth, 2002; Blum, 2005).

წარმატება: მოსწავლის თვითეფექტურობის განვითარება

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი შექმნის მოწესრიგებულ და უსაფრთხო სასწავლო გარემოს, მოსწავლის წარმატება ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადი ხდება. წარმატების მოთხოვნა ფუნდამენტურია სხვადასხვა თეორიის მიხედვით (იხ. თავი 10) (Schunk, 2004; Wigfield & Eccles, 2000).


წარმატება არ ნიშნავს მხოლოდ მაღალი ქულების მიღებას დავალებებსა და ტესტებში. როგორც ამ თავის დასაწყისში ვნახეთ, სწავლებაზე ორიენტირებული გარემოს განხილვისასწარმატება ნიშნავს პროგრესს და უნარების დაუფლებას და არა მაღალ ქულებს ან სხვებზე უკეთ სწავლას. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს შექება და სხვა ჯილდოები, როცა მოსწავლის პროგრესი თვალსაჩინოა. შეცდომები არ ნიშნავს, რომ მოსწავლე წარუმატებელია, პირიქით, ისინი სწავლის პროცესის ჩვეულებრივი ნაწილია.

მასწავლებლებს შეუძლიათ წარმატების ხელშეწყობა სხვადასხვა გზით:

- დაიწყეთ გაკვეთილი ღია კითხვებით და ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა დისკუსიაში ჩართვას;
- გამოიყენეთ მრავალი კარგი ხარისხის მაგალითი, რომლებიც საგნის გაგებას შეუწყობს ხელს;
- განავითარეთ გაკვეთილი გამოკითხვით და გამოიყენეთ დამატებითი შეკითხვები, როცა მოსწავლეს უჭირს პასუხის გაცემა;
- ავარჯიშეთ მოსწავლეები, სანამ დამოუკიდებელ დავალებას მისცემთ;
- შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილად აქციეთ და დეტალური უკუკავშირი დაამყარეთ.

მიუხედავად ამისა, წარმატება, მუდმივი პროგრესის პირობებშიც კი ვერ გაზრდის მოტივაციას, თუ სასწავლო დავალებები რთული არ არის. მოდით, განვიხილოთ ეს იდეა.

გრაფა 11.4 კლიმატის ცვლადები მოსწავლის მოტივაციის ამაღლების მოდელში



გამოწვევა: გაზრდილი კომპეტენციის შეგრძნება და თვითდეტერმინიზმი

მხოლოდ წარმატება არ ზრდის თვითეფექტურობას და კომპეტენციას. ისინი ასევე სასწავლო დავალების ტიპზეც არის დამოკიდებული (Dolezal, Welsh, Pressley & Vincent, 2003).

მაგალითად, საკმარისი რეპეტიციის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ დამახსოვრონ უაზრო ფაქტები. ეს წარმატება ცოტას თუ აკეთებს კომპეტენციისა და მოტივაციის გაზრდისთვის. მხოლოდ მაშინ, როცა მოსწავლეები წარმატებას აღწევენ დავალებაში, რომელსაც ისინი გამოწვევად აღიქვამენ, უჩნდებათ მათ გაზრდილი კომპეტენციის შეგრძნება.

მრავალი კვლევა ადასტურებს გამოწვევის საჭიროებას. როგორც მეათე თავში ნახეთ, ეს შინაგანი მოტივაციის ერთ-ერთი მახასიათებელია და თვითდეტერმინიზმის თეორია გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ ხდება ასე. გამოწვევად აღქმულ დავალებაში წარმატების მიღწევა ეხმარება მოსწავლეებს კომპეტენციისა და ავტონომიურობის შეგრძნების განვითარებაში და იწვევს გაზრდილ მონდომებას (Deci & Ryan, 2000). ეს გვეხმარება გავიგოთ, მაგალითად, რატომ განაგრძობს ბავშვი ველოსიპედის ტარების სწავლას, მაშინაც კი, როცა ის მუდმივად ვარდება ველოსიპედიდან და თუ რატომ კარგავენ ინტერესს იმ უნარის მიმართ, რომელსაც უკვე დაეუფლნენ.

მასწავლებლები გამოწვევას ხაზს უსვამენ სასწავლო თემასა და ახალი რამის სწავლას შორის კავშირის ხაზგასმით (Brophy, 2004; B. Taylor, Pearson, Peterson & Rodriguez, 2003). როცა მოსწავლეები წუწუნებენ დავალების სირთულეზე, მასწავლებელი არ ამარტივებს მას; ისინი

დახმარებას აღმოუჩენენ მოსწავლეებს, რათა დარწმუნდნენ, რომ მოსწავლეები გადალახავენ სირთულეს.

დავალების გაგება: ავტონომიურობის გაზრდილი შეგრძნება

წარმატებისა და რთული დავალების მიუხედავად, მოსწავლის მოტივაცია არ გაიზრდება, თუ მოსწავლეები დავალებას მნიშვნელოვნად არ აღიქვამენ (Vavilis & Vavilis, 2004). მაგალითად, ამერიკის მთავრობის მასწავლებელი ამ დავალებას აძლევს მოსწავლეებს წასაკითხად:

„ურადღებით წაიკითხეთ მე-17 თავი... რადგან ის ტესტის 50%-ს შეადგენს. უფრო კონკრეტულად, დამოუკიდებლობის დეკლარაცია არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც უნდა იცოდეთ. დავიწყოთ მნიშვნელოვანი ფაქტების განხილვით. პირველი, ვინ იყო მნიშვნელოვანი ადამინი, ვინც დაწერა დამოუკიდებლობის დეკლარაცია? (Good & Brophy, 2003)

შესაძარებლად ვნახოთ მეორე მაგალითი,

დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე საუბრის დაწყებამე მინდა დავსვა ოთხი კითხვა სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის 1. რა არის პროტესტი 2. რა შემთხვევებშია პროტესტი მისაღები? 3. იფიქრეთ იმ უფლებებსა და პრივილეგიებზე, რომლებიც სკოლაში გაქვთ. სკოლის კონსტიტუცია რომ დაგენერათ, რა იქნებოდა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც მასში ჩაწერდით? 4. როგორ ფიქრობთ, თქვენი წარმოდგენა კარგი მთავრობის შესახებ რამდენადაა გაზიარებული სხვა მოსწავლეების მიერ? (Good & Brophy, 2003)

როგორ განსხვავდება ეს ორი კომენტარი ერთმანეთისგან?

ამ განსხვავებას მივყავართ დავალების გაგებამდე, ანუ მოსწავლის მიერ იმის გაგებამდე, თუ რა უნდა გააკეთოს და თუ რატომ არის ეს დავალება მნიშვნელოვანი (Eggen & Kauchak, 2002). დავალების გაგება ასევე მოიცავს გადაწყვეტილებას დროის შესახებ, რომელიც ამ დავალებას უნდა დაეთმოს და დახმარების მიღებას, თუკი ეს საჭიროა.

პირველმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის სწავლა მნიშვნელოვანია ტესტში წარმატების მიღებისთვის და გაგება დამოკიდებულია ფაქტების დამახსოვრებაზე, როგორიცაა, თუ ვინ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი დეკლარაციის შექმნისას. ამის საპირისპიროდ, მეორე მასწავლებელმა მოსწავლეებს უთხრა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესწავლა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის გვეხმარება გავიგოთ პროტესტის მნიშვნელობა, რატომ იჩენს ის თავს და როდის არის მისაღები. მან ასევე აღნიშნა, რომ დეკლარაციის სწავლა დაეხმარებოდა მოსწავლეებს სკოლაში საკუთარი უფლებების უკეთ გაგებაში. მეორე მაგალითში უფრო მეტად არის სავარაუდო, რომ მოსწავლეებმა დავალება უკეთ გაიგეს და ამიტომ გაეზარდათ მოტივაცია.

დავალების გაგების საჭიროება მნიშვნელოვანია, პირველ რიგში იმიტომ, რომ გაგება სასარგებლოა სამომავლო მიზნების გაგებისთვის. მეორე, იმის გაგება, თუ რას და რატომ სწავლობენ, ზრდის მოსწავლეების ავტონომიურობას.

ისევე როგორც მასწავლებლის მახასიათებლების შემთხვევაში, კლიმატური ცვლადები ურთიერთდამოკიდებულია. რთული დავალება შეიძლება მოტივაციას ამაღლებდეს, თუ მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. თუ ისინი ღელავენ შეცდომის დაშვების შედეგებზე, მათი მოტივაცია იკარგება. ამის მსგავსად, თუ მოსწავლეებს არ ესმით დავალების შინაარსი ან აზრი, არც წარმატება და არც დავალების სირთულე არ გაზრდის მათ მოტივაციას. ყველა ეს კლიმატური ცვლადი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონეზე ზრუნავს მასწავლებელი მოსწავლეებზე და უყენებს თუ არა ის მოსწავლეებს მაღალ სტანდარტებს.

მიზნის პროგრამა: მიზნის თეორიის გამოყენება კლასში

კაროლ ამესმა (Ames, 1990, 1992) განავითარა პროგრამა, რომელიც მიზნის თეორიას ეფუძნება. TARGET-ი პროგრამის აკრონიმია, რომელიც ეხება დავალებას (task), ავტორიტეტს (authority), აღიარებას (recognition), დაჯგუფებას (grouping), შეფასებასა (evaluation) და დროს (time). მეათე თავში ჩვენ ვნახეთ, რომ გარემო, რომელშიც სასწავლო მიზნები ხაზგასმულია, უფრო ზრდის სწავლის მოტივაციას. TARGET -ი პროგრამა ეფუძნება ოჯახში კვლევებს და მიმართულია მოსწავლის მოტივაციაზე, რომ ისწავლოს სახლში. 11.2 ცხრილი აღწერს ამ პროგრამის კატეგორიებს და შესაბამის ცვლადებს, რომელიც მოსწავლის მოტივაციის გაზრდის მოდელს ეხება.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

4.1. „ვეცდები ჩემი დავალებები მარტივი იყოს“ ამბობს მეხუთე კლასის ურბანული კლასის მეცნიერების მასწავლებელი. „ერთ-ერთ აქტივობაში ჩონჩხის ნახატი მივეცი და დასახელებულ წიგნში შეეძლოთ მოეძებნათ. მათ წარმატებას უნდა მიაღწიონ და მიაღწიეს კიდეც ამ დავალებით.“ გაანალიზეთ მასწავლებლის მიდგომა მოტივაციის მიმართ. გამოიყენეთ კლიმატის ცვლადები მოსწავლის მოტივაციის გაზრდის მოდელში თქვენი პასუხის ასახსნელად. ასევე, შეაფასეთ ეს მიდგომა TARGET -ი პროგრამის კატეგორიების მიხედვით.

4.2. „ხელშეუხებელი წესები მაქვს კლასის მართვის სისტემაში,“ ამბობს საშუალო საფეხურის მასწავლებელი. „მათ არ შეუძლიათ სარკასტული კომენტარის გაკეთება, როცა მათი კლასელი კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს. მე ავხსენი, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და ისინი დამეთანხმენენ. ზოგჯერ რაღაცები წამოსცდებათ ხოლმე, მაგრამ ძირითადად კარგად იქცევიან.“

რომელ კლიმატურ ცვლადს იყენებს მასწავლებელი მოტივაციის გაზრდის მოდელიდან? ახსენით.

4.3. შეხედეთ 11.2 ცხრილს და ახსენით, როგორ უკავშირდება თითოეული ცვლადი TARGET -ი პროგრამის კატეგორიებს. მაგალითად, როგორაა დაკავშირებული გამოწვევა და დავალების გაგება TARGET -ი პროგრამის დავალების კატეგორიასთან.

კითხვებზე უკუკავშირის მისაღებად იხილეთ დანართი ბ.

ცხრილი 11.2 TARGET -ი პროგრამის კავშირო მოსწავლის მოტივაციის გაზრდის მოდელთან

| TARGET -ის კატეგორია | აღწერა | შესაბამისი ცვლადები მოსწავლის მოტივაციის გაზრდის მოდელიდან |
|----------------------|---|---|
| დავალება | დავალებები რთულია, მოსწავლეები მას ხედავენ, როგორც გამოწვევას და ესმით მისი არსი და მნიშვნელობა | გამოწვევა, დავალების გაგება |
| ავტორიტეტი | ავტორიტეტი გაზიარებულია, მოსწავლეების ავტონომიურობა ხელშეწყობილია | წესრიგი და უსაფრთხოება |
| აღიარება | აღიარებულია ყველა წარმატება, რომელსაც მოსწავლე მიაღწევს | წარმატება |
| დაჯგუფება | დაჯგუფება ხელს უწყობს ჯგუფურ სწავლას | კლიმატის ცვლადები |
| შეფასება | შეფასება გამოყენებულია სწავლის ხელშესაწყობად | წარმატება |
| დრო | გამოყოფილია დრო მუშაობისთვის, სწავლების პროცესისთვისა და დავალების შესრულებისთვის | დავალების გაგება |

კლიმატის ცვლადების გამოყენება

უსაფრთხოება და წესრიგი

1. შექმენით უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემო

- **დაწყებითი საფეხური:** მეორე კლასის მასწავლებელი ყოველდღიური რუტინის პრაქტიკას ამკვიდრებს ისე, რომ მოსწავლეებისთვის ის ავტომატურია.
- **საბაზო საფეხური:** მერვე კლასის ისტორიის მასწავლებელი მართავს დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორ კლასში უნდათ მოსწავლეებს სწავლა. ისინი ასკვნიან, რომ ყველა ცინიკური კომენტარი უნდა აღმოიფხვრას.
- **საშუალო საფეხური:** მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ საკითხთან დაკავშირებული ყველა კომენტარი მიღებულია და პირადი მაგალითის საფუძველზე აჩვენებს, რომ ყველა იდეის მიღება შესაძლებელია. ის სთხოვს მოსწავლეებს მოუსმინონ ყურადღებით, როცა მათი თანაკლასელი საუბრობს.

წარმატება და გამოწვევა

- **დაწყებითი საფეხური:** მეხუთე კლასის მასწავლებელი ამბობს: „ძალიან კარგად ვართმევთ თავს პროცენტებს. ამოცანა მაქვს, რომელიც ყველას დაგვაფიქრებს. რთული იქნება, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი ამოხსნა.“ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრაში.
- **საბაზო საფეხური:** მექვსე კლასის ინგლისურის მასწავლებელს აქვს საშინაო დავალების განხილვა კვირაში სამჯერ, როცა ყველა ერთად განიხილავს საშინაო დავალებას.
- **საშუალო საფეხური:** ფიზიკის მასწავლებელი ამლევს მოსწავლეებს პასუხს ყველაზე ხშირად გამოტოვებული სავარჯიშოებისთვის საშინაო დავალებაში. მოსწავლეები მას ინახავენ პორტფოლიოში და ემზადებიან ტესტისთვის.

დავალების გაგება


ყურადღებით აღწერეთ დავალების მიზანი

- **დაწყებითი საფეხური:** მათემატიკის საშინაო დავალების მიცემისას მესამე კლასის მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ მათემატიკის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ ვარჯიშობენ დავალებების ამოხსნაში ყოველდღე.
- **საბაზო საფეხური:** მეშვიდე კლასის ინგლისურის მასწავლებელი ყურადღებით აღწერს დავალებას ჩაბარების დროს და წერს მათ დაფაზე. ყოველ ჯერზე ხსნის, რატომ არის ეს დავალება მნიშვნელოვანი.
- **საშუალო საფეხური:** ბიოლოგიის მასწავლებელი წერს შემდეგს: „ჩვენ მხოლოდ იმიტომ არ არ ვსწავლობთ ჭიების მახასიათებლებს, რომ ჭიები გვაინტერესებს. როცა ვხედავთ, თუ როგორ ადაპტირდება თითოეული ორგანიზმი გარემოსთან, ჩვენს თავზეც ბევრ რამეს ვიგებთ.

სწავლების პროცესის ცვლადები: სასწავლო აქტივობების მიმართ ინტერესის განვითარება

მასწავლებლის მახასიათებლები და კლიმატის ცვლადები მოტივაციის ზოგად ასპექტებს ქმნიან. ამ კონტექსტში მასწავლებელს მოტივაციის ასამაღლებლად ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. სწავლების პროცესის თვალსაზრისით, მოტივირებული მოსწავლე არის ინდივიდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში (Brophy, 2004; Stipek, 2002). ამ ჩართულობის ხელშესაწყობად, პირველ რიგში, მოსწავლეების ყურადღება უნდა მივიპყროთ და შემდეგ შევინარჩუნოთ. გრაფა 11.5 აღწერს ამ მიზნის მიღწევის გზებს.

გრაფა 11.5 სწავლების პროცესის ცვლადები მოსწავლის მოტივაციის ამაღლების მოდელში



ფოკუსი გაკვეთილის პროცესის დასაწყისში: მოსწავლის ყურადღების მოზიდვა

ამ ნაწილის დასაწყისში გაიხსენეთ, როგორ დაიწყო დევონემ თავისი გაკვეთილი ფეხსახსრიანთა შესახებ. მან კიბო აჩვენა მოსწავლეებს და მისცა სამუალება მას შეხებოდნენ. აღტაცების შეძახილები ნათლად აჩვენებს, რომ მან მოსწავლეების ყურადღება მიიპყრო. მოდით, კიდევ რამდენიმე მაგალითი ვნახოთ.

ქალაქებისა და მათი ლოკაციის გაკვეთილის შესავალში მარისა აღუნძა დაარიგა გამოგონილი კუნძულის რუკა, მდინარეებითა და ტბებით. საშუალო ტემპერატურის, გრძედისა და განედისა და წვიმის სეზონების შესახებ ინფორმაცია რუკაზეა მოცემული. მარისა იწყებს „ჩვენი კლასი გაგზავნეს ამ კუნძულზე საცხოვრებლად. ამ ინფორმაციის საფუძველზე სად უნდა დავსახლდეთ?“

დურკ კენი, მეცნიერების მასწავლებელი ბეისბოლისა და გოლფის ბურთებს ჩამოატარებს კლასში და მოსწავლუებს აჭერინებს. მას შემდეგ, რაც მოსწავლუები ადასტურებენ, რომ ბეისბოლის ბურთი უფრო მძიმეა, მასწავლებელი მაგიდაზე ადის და ორივე ბურთი ხელში უჭირავს და ამბობს: „ერთდროულად უნდა დავაგდო ორივე ბურთი. რა მოხდება?“

გაკვეთილის ასეთი გზით დაწყება გაკვეთილის დასაწყისში ყურადღების მიპყრობის მცდელობაა (Marzano, 2003). მასწავლებლები მოსწავლეების ინტერესს იწვევენ პრობლემების მიმართ, როგორც ეს მარისას გამოგონილი კუნძულის მაგალითზე ვნახეთ; ან პარადოქსული შეკითხვის დასმით („თუ რომი ასეთი ძლიერი და განვითარებული ცივილიზაცია იყო, რატომ დაეცა?“); ან დემონსტრაციის გამოყენებით (ბეისბოლისა და გოლფის ბურთის გამოყენებით); ან თვალშისაცემი მაგალითით, როგორიც დევონეს კიბო იყო.

კვლევა მიუთითებს, რომ მასწავლებლები ძალიან იშვიათად იყენებენ ეფექტურ შესავალს გაკვეთილის დასაწყისში. როცა მასწავლებლები შესავალს იყენებენ, ის ხშირად მოკლეა და მოსწავლეების ყურადღებას ვერ იპყრობს (Brophy, 2004). თუმცა, შესავალი ფოკუსის მიღწევა რთული არ უნდა იყოს. ეს მოითხოვს მონდომებას, რათა ერთმანეთს დაუკავშირდეს გაკვეთილის შინაარსი და მოსწავლის წინარე ცოდნა და ინტერესები. დამატებითი მაგალითები 11.3 ცხრილშია მოცემული.

მას შემდეგ, რაც გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლის ყურადღება გააქტიურებულია, მასწავლებელმა ის მთელი გაკვეთილის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს. პერსონალიზაცია, ჩართულობა და უკუკავშირი დაგვეხმარება ამ მიზნის მიღწევაში.

პერსონალიზაცია: მოსწავლის ცხოვრებასთან კავშირი

სიუ კომპტონი მეორე კლასის მათემატიკის მასწავლებელია და მოსწავლუებს გრაფიკის აგებას ასწავლის. პირველ რიგში, მოსწავლუები თავიან სიმაღლეს ზომავენ, ამის შემდეგ მასწავლებელი მათ აძლევს ფურცელს, რომელზეც მოსწავლის სიმაღლეა აღნიშნული. ყველა მოსწავლე დებს ფურცელს იმ წერტილზე, რომელზეც მისი სიმაღლეა აღნიშნული. შედეგების განხილვის შემდეგ, იმავე აქტივობას აკეთებენ თმის ფერზე გრაფიკის აგების იდეის განსამტკიცებლად.

მეცნიერების მასწავლებელი კრის ემერი იწყებს გაკვეთილს: „რენე, რა ფერის თვალები გაქვს?“

„ცისფერი, „პასუხობს რენე.“

„შენ, ედი?“

„მწვანე.“

„საინტერესოა“ ამბობს კრისი ღიმილით „როცა დავამთავრებთ გაკვეთილს, ჩვენ შეგვეძლება დავადგინოთ, რატომ აქვს რენეს ცისფერი, ხოლო ედის მწვანე თვალები?“

ცხრილი 11.3 შესავალი ფოკუსის ტექნიკები

| ტექნიკა | მაგალითი |
|--------------------------|---|
| პრობლემები და შეკითხვები | <ul style="list-style-type: none"> ლიტერატურის მასწავლებელი ერნესტ ჰემინგუეის სურათს აჩვენებს კლასს და ამბობს: „ვხედავთ „პაპას“ მთელი თავისი ბრწყინვალებით. მას ჰქონდა ყველაფერი - იყო ცნობილი, ჰქონდა თავგადასავლები, სიყვარული. თუმცა, თავი მოიკლა. რატომ მოხდა ეს?“ მეცნიერების მასწავლებელი სთხოვს კლასს ახსნას, თუ რატომ მიუხლოვდა ორი ფურცელი ერთმანეთს, როცა მოსწავლეებმა მათ შორის ჩაბერეს. |
| ინდუქციური თანმიმდევრობა | <ul style="list-style-type: none"> ინგლისურის მასწავლებელი აჩვენებს შემდეგს: „მილიონი დავალება მქონდა გუშინ ღამე. მოწყენილი ვიყავი, იმიტომ რომ ყველაზე საოცარ გოგოსთან მქონდა პაემანი! თუმცა, მგონი, ნორმალური პაემანი იყო, იმიტომ რომ, ყველაზე საშინელი რაღაცები ეცვა!“ მოსწავლეები ჰქონდოლოს მაგალითებს პოულობენ ტექსტში. განათლების ფსიქოლოგიის ინსტრუქტორი ამ კითხვებით იწყებს გაკვეთილს: შეწუხებული ხართ, როცა რაიმე უაზრობაა? გინდათ, რომ სამყარო პროგნოზირებადი იყოს? უფრო კომფორტულად ხართ კლასში, როცა იცით, თუ რა მოგეთხოვებათ? - ამის შემდეგ მოსწავლეები წონასწორობის მნიშვნელობაზე მუშაობენ |

| | |
|-----------------------|--|
| კონკრეტული მაგალითები | <ul style="list-style-type: none"> • ამფიბიებზე გაკვეთილს მასწავლებელი ბაყაყის მოყვანით იწყებს. • გეოგრაგიის მასწავლებელი გრძედის და განედის სადემონსტრაციოდ ხაზებს უსვამს ბურთზე. |
| ახსნა და მიზნები | <ul style="list-style-type: none"> • მათემატიკის მასწავლებელი იწყებს - „დღეს უნდა ვისწავლოთ საკითხი განფასების შესახებ. ეს დაგვეხმარება გადავწყვიტოთ, რომელი ნივთი ჯობს რომ ვიყიდოთ და დავზოგოთ ფული?“ • მსოფლიო ისტორიის მასწავლებელი ამბობს: „დღეს უნდა ვისწავლოთ ცნება მერკანტილიზმი. ის დაგვეხმარება ავსნათ, რატომ წავიდნენ ევროპელები ახალი სამყაროს აღმოსაჩენად.“ • განათლების ფსიქოლოგიის ინსტრუქტორი ამბობს: „ჩვენ ვიცით, რომ მოსწავლეები ინფორმაციის კონსტრუირებას ახდენენ, მისი უბრალოდ ჩაწერის/დამახსოვრების ნაცვლად. დღეს გვინდა ვნახოთ, რას გვირჩევს ეს პრინციპი ეფექტურად სწავლების შესახებ.“ |

სუსა და კრისს უნდოდათ მოსწავლეების ყურადღების შენარჩუნება პერსონალიზაციის გზით (Bruning et al., 2004), ესაა პროცესი, როცა მასწავლებელი საკითხის საილუსტრაციოდ იყენებს ინტერკულტურულად და ემოციურად შესაბამის მაგალითებს.

პერსონალიზაცია მნიშვნელოვანი სტრატეგიაა მოტივაციის ასამაღლებლად მრავალი მიზეზის გამო (Strong, Silver, Perini, & Tuculescu, 2003; Wortham, 2004). პირველ რიგში, ის გონივრულია და მისაღები. მასწავლებლის გამოცდილების გამოკითხვის თანახმად, პერსონალიზაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად მიიჩნევა მოსწავლეების ინტერესის გასაღვივებლად (Zahorik, 1996). დამატებითი კვლევა ადასტურებს ზაჰორიკის შედეგებს (Schraw, & Lehman, 2001). მეორე, მოსწავლეები ავტონომიურობის შეგრძნებას განიცდიან, როცა სწავლობენ იმ საკითხს, რომელიც აინტერესებთ (Iyengar & Lepper, 1999). მესამე, როგორც ჩვენი მაგალითებიდან ვნახეთ, პერსონალიზებული შინაარსი გამოსადეგია, იმიტომ რომ ის ხელს უწყობს მოსწავლეებს დაუკავშირონ ახალი ინფორმაცია სტრუქტურებს, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ ხანგრძლივ მეხსიერებაში (Moreno & Mayer, 2000). ბოლოს, პერსონალიზაცია ერთ-ერთი გზაა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის.

ჩვენ მიერ განხილულ მრავალ მაგალითში მასწავლებლები იყენებენ პერსონალიზაციას მოსწავლეების მოტივაციის გასაზრდელად. ეს მაგალითები 11.4 ცხრილშია შეჯამებული.

ჩართულობა: შინაგანი მოტივაციის გაზრდა

შესავალი ფოკუსი და პერსონალიზაცია მოსწავლეების ყურადღებას გაკვეთილისკენ მიმართავს, თუმცა თუ თემა დამაინტერესებელი და დროული არ არის, მოსწავლეების ინტერესი გაქრება. მოტივაციის შენარჩუნების ერთ-ერთი გზა არის ჩართულობა, თუ რა დონით მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო აქტივობაში.

გაიხსენეთ თქვენი გამოცდილება მეგობრებთან ერთად სადილზე ან წვეულებაზე. თუ საუბრობთ და აქტიურად უსმენთ, თქვენ უფრო მეტ ყურადღებას უთმობთ დიალოგს, ვიდრე მამინ, თუ ჩუმად ხართ. იგივე ხდება კლასშიც. ეფექტური მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეები ჩართონ გაკვეთილში მათი ინტერესის გასაზრდელად (Hidi, 2002; Schraw,& Lehman, 2001).

როგორც მეშვიდე თავში ნახეთ, აქტიურად ჩართვა აუცილებელია სწავლისათვის, რადგან ის ზრდის მოსწავლეების მიერ საკითხის გაებას და უვითარებს კომპეტენტურობისა და ავტონომიურობის შეგრძნებას (Bruning et al., 2004). განათლების ზოგიერთი სპეციალისტი გვირჩევს: მოსწავლეებისთვის აქტიური როლის მიცემა პერსონალიზებული სწავლების ერთ-ერთი გზაა (Schraw & Lehman, 2001).

ცხრილი 11.4 მასწავლებლების მიერ საკითხის პერსონალიზების მცდელობა

| მასწავლებელი და თავი | |
|------------------------|---|
| კარენ ჯონსონი (თავი 2) | მოსახლეობის დასახლების სიხშირის გასაზომად და მნიშვნელობის გასაგებად გამოიყენა ფანჯრების სისქე, |
| დაიან სმიტი (თავი 4) | განსაზღვრებების სასწავლებლად გამოიყენა მოსწავლეების ფანჯრების სიგრძეებს შორის განსხვავება და მათი თმის ფერს შორის განსხვავება |
| მაიკ შეფერდი (თავი 5) | მათემატიკის პრობლემის გასაგებად გამოიყენა მოსწავლეების ქალაქებსა და მათ მეზობელ ქალაქებს შორის მანძილი |
| ლაურა ჰანტერი (თავ 9) | არაწესიერი ფიგურების ასახსნელად გამოიყენა კლასის განლაგების ფორმა |
| სუზან ბრაში (თავი 9) | გრაფიკის ასაგებად გამოიყენა მოსწავლეების საყვარელი პიცის ფასები |

მოდით, ვნახოთ ორი სტრატეგია მოსწავლის ჩართულობის გასაზრდელად - ღია კითხვები და პრაქტიკული ატივობები.

ღია კითხვების გამოყენება ჩართულობის ხელშესაწყობად

გამოკითხვა ფართოდ გამოყენებული საშულებაა მოსწავლეების ჩართულობის გასაზრდელად. მოსწავლეების ყურადღება გააქტიურებულია, როცა შეკითხვებს აძლევენ და ეცემა, როცა მასწავლებელს მონოლოგი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა მე-13 თავში განვიხილეთ, ღია კითხვების მეთოდს აქ წარმოვადგენთ, იმიტომ რომ ჩართულობის ხელშესაწყობად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (Eggen & Kauchak, 2006). ღია კითხვები არის კითხვები, რომლებსაც მრავალი პასუხი შეიძლება გაეცეს.

მაგალითად, დევონემ ჰქითხა მოსწავლეებს, რა იყო კიბოს ძირითადი მახასიათებლები: „აბა, მითხარით, თუ რა დაინახეთ.“ „ის მყარია“ „ვარდისფერი და მწვანეა“, „სველია“.

ყველა პასუხი დევონეს შეკითხვაზე მისაღები იყო. მეორე მაგალითი შექსპირის „იულიუს კეისრის“ ახსნისას განვიხილოთ:

„რა მოხდა პიესაში?“

„რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები?“

„რა დაგამახსოვრდათ პიესიდან?“

დევონეს კითხვების მსგავსად ამ კითხვებზე პასუხი ადვილია, ისინი წინარე ცოდნას ააქტიურებენ და მოსწავლეების ყურადღებას გაკვეთილისკენ მიმართავენ.

მეორე ტიპის ღია კითხვები შედარებას ითხოვს. მაგალითად, ამფიბიებისა და რეპტილიების გაკვეთილზე მასწავლებელი სვამს შემდეგ შეკითხვებს:

რით ჰგვანან ერთმანეთს ბაყაყი და ხვლიკი?

„რით ჰგვანან ერთმანეთს ბაყაყი და გომბეშო და რით განსხვავდებიან?“

იულიუს კეისარზე გაკვეთილისას მასწავლებელმა შეიძლება იკითხოს:

„რით ჰგვანან ერთმანეთს ბრუტუსი და იულიუს კეისარი? რით განსხვავდებიან?“

იმის გამო, რომ ბევრი პასუხია მისაღები, ღია კითხვები უსაფრთხო და წარმატების მომტანია. უსაფრთხოებისა და წარმატების შეთავსებით მასწავლებელმა შეიძლება წაახალისოს მოსწავლეები თავისუფლად ჩაერთონ გაკვეთილში მორიდებისა და რისკის განცდის გარეშე. გარდა ამისა, ღია კითხვებზე პასუხის გაცემა სწრაფად ხდება, ამიტომ პროცესში ყველა მოსწავლე შეიძლება იყოს ჩართული. კიდევ ერთი დადებითი მხარე, რომელიც ღია კითხვებს აქვს, არის ის, რომ მასწავლებელი ხედავს მოსწავლის აზროვნების პროცესს (Powell & Caseau, 2004).

პრაქტიკული დავალების გამოყენება ჩართულობის ხელშესაწყობად

პრაქტიკული აქტივობები კიდევ ერთი გზაა მოსწავლეების ჩართულობის გასაზრდელად (Zahorik, 1996). მაგალითად, როდესაც მოსწავლეები მუშაობენ კომპიუტერთან ენების გავეთილზე ან რუკებსა და გლობუსზე გეოგრაფიაში, მათი ინტერესის დონე მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად, დევონეს გავეთილზე ჩართულობა უმაღლეს დონეს აღწევდა, როცა ჯგუფი მოლუსკებზე მუშაობდა.

ჩართულობისა და ინტერესის ხელშემწყობი დამატებითი სტრატეგიები 11.5 ცხრილშია მოცემული.

თამაშების ტიპის დავალებები ზრდის მოსწავლეების თვითეფექტურობას. დაფასთან ცარცით მუშაობა პრობლემის ფურცელზე გადაწყვეტის მსგავსია, თუმცა დაფასთან ყოფნა აზრების გაზიარებისა და დისკუსიის საშუალებას იძლევა და მოსწავლეები მას უფრო ხშირად იყენებენ ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ქაღალდზე არ უცდიათ.

ჯგუფურმა სამუშაომ, რომლითაც მოსწავლეები საერთო სასწავლო მიზნისთვის მუშაობენ, ასევე შეიძლება გააუმჯობესოს ჩართულობა (D.W. Johnson & Johnson, 2006; Marzano, 2003). ჯგუფური სამუშაო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ითანამშრომლონ, გაუზიარონ ერთმანეთს იდეები. ყველა მასწავლებელი იყენებს ჯგუფურ სამუშაოს ჩართულობისა და ინტერესის დონის გასაზრდელად.

ცხრილი 11.5 ჩართულობის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები

| ტექნიკები | მაგალითი |
|-------------------------------|--|
| გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები | მოსწავლეებს ეძლევათ გამრავლების ათი ამოცანა ფურცელზე. მოსწავლეებს ეწერებათ ქულა დროისა და სიზუსტის მიხედვით და ინდივიდუალური გაუმჯობესების გამო. |
| თამაშები | კლასი თანაბრად იყოფა უნარების მიხედვით, ჯგუფები თამაშის ფორმატში პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს |
| ინდივიდუალური სამუშაო სივრცე | მოსწავლეებს ეძლევათ თავიანთი დაფა, რომელზეც უნდა დაწერონ მათემატიკური ამოცანები და ამოხსნან. |
| ჯგუფური მუშაობა | მოსწავლეთა ჯგუფები უყურებენ მეცნიერულ ექსპერიმენტს და ერთად წერენ მათ დაკვირვებებს ექსპერიმენტის შესახებ. |

უკუკავშირი

მეშვიდე თავში, როგორც ნახეთ, სწავლის ერთ-ერთი განუყოფელი პრინციპია უკუკავშირი. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, სწორად გაიგეს თუ არა მასალა, ამისთვის კი აუცილებელია უკუკავშირი.

უკუკავშირის აუცილებლობას კოგნიტური მოტივაციის თეორიაც აღნიშნავს. მაგალითად, უკუკავშირი, რომლის მიხედვითაც კომპეტენტურობა იზრდება, ხელს უწყობს თვითეფექტურობისა და თვითდეტერმინიზმის გაზრდას. ამას გარდა, უკუკავშირი გვეხმარება გავიგოთ, თუ რატომ ვასრულებთ დავალებას ისე, როგორც ვასრულებთ.

უკუკავშირს წვლილი შეაქვს თვითრეგულაციაშიც. ის გვაწვდის ინფორმაციას მიზნებისაკენ ჩვენი პროგრესის შესახებ, როცა ეს მიზნები მიღწეულია, თვითეფექტურობა იზრდება. თუ ეს მიზნები ჯერ არ მიღწეულა, მაშინ უნდა გავზარდოთ მონდომება მათ მისაღწევად.

უკუკავშირის ტიპი მნიშვნელოვანია. როცა უკუკავშირი სწავლის პროგრესის შესახებ არის, მოტივაცია იზრდება. მეორე მხრივ, უკუკავშირმა, რომელიც შეიცავს სოციალურ შედარებას ან მოსწრებაზე ორიენტირებულია, შეიძლება შეამციროს სწავლის მოტივაცია (Brophy, 2004; Pintrich & Schunk, 2002). მოსწრებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს განსაკუთრებით დამანგრეველი ეფექტი აქვს დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებთან.

კლიმატური და სწავლების პროცესის ცვლადების გამოყენება თქვენს კლასში: პრინციპები

ამ თავში ჩვენ ხაზგასმით გამოვვეთეთ, რომ ცვლადები ჩვენს მოდელში ერთმანეთთან არის დამოკიდებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატური და სწავლების პროცესის ცვლადების ურთიერთმიმართებისას. მოდელის კლასში გამოყენებისათვის დაგეხმარებათ შემდეგი პრინციპები: :

1. ჩამოაყალიბეთ წესები და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნას;
2. შეეცადეთ დაუკავშიროთ თემები მოსწავლეების პირად ცხოვრებას;
3. აღწერეთ კონკრეტული საკითხის სწავლის მიზეზები და მიზნები;
4. მიაღწიეთ და შეინარჩუნეთ მოსწავლეების ჩართულობა;
5. გააკეთეთ დეტალური უკუკავშირი.

მოდით, ვნახოთ, როგორ გამოიყენა ეს პრინციპები დაივიდ კრავფორდმა ისტორიის გავეთილზე.

ზარის დარეკვის შემდეგ მოსწავლეები თავიანთ ადგილებზე არიან და წიგნები გადაშლილი აქვთ. დევიდი კლასში დადის და იწყებს: „მოდით, დავფიქრდეთ იმ ტექნოლოგიებზე, რომლებიც თანამედროვე სამყაროში გვაქვს. ბრენდა?“

„კომპიუტერები“

„რა თქმა უნდა... კიდევ?“

„მანქანები, “ამატებს ერინი.

„ელექტროენერგია, “ამბობს დარელი

„ყველა კარგი მაგალითია, “ ამბობს დევიდი. „ჩვენ ტექნოლოგიებზე ვფიქრობთ როგორც რაღაც ახალზე, თუმცა ჩვენი ისტორიის მანძილზე ის სულ არსებობდა, და ჩვენ სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხის შესახებ ბევრი რამის თქმა შეგვიძლია მათ ტექნოლოგიებზე, არტიფაქტებზე დაკვირვებით. „არტიფაქტების განმარტების შემდეგ, დევიდი განაგრძობს:

„დღეს ჩვენ უნდა ვისაუბროთ არტიფაქტებზე, რათა გავიგოთ, რას გვაუწყებენ ისინი იმ ადამიანებზე, რომლებიც წარსულში ცხოვრობდნენ. ეს მოგვცემს ინსტრუმენტს, რათა გავიგოთ თითოეული ცივილიზაცია, რომელსაც შევისწავლით“

დევიდს ყუთიდან ამოაქვს ორი ცხოველის თავის ქალა, მოქსოვილი ნაჭერი და ორი ქვის შები და დებს მათ მაგიდაზე. ამის შემდეგ იგი ცალკე კიდევ ორ ქვის შებს დებს, ნახშირის რამდენიმე ნაჭერს, სამი ცხოველის ძვლებს და ცხოველის კანის ფრაგმენტს.

„ჩვენ დავარქმევთ ამას ცივილიზაცია ა -ს, ხოლო ამას ცივილიზაცია - ბ-ს“

კლასი არტიფაქტებს ათვალიერებს და დევიდის დახმარებით ასკვნის, რომ ორი თავის ქალა ძროხისა და ცხვრისაა, ხოლო ძვლები ანტილოპას ფეხი და ნეკნია.

„ჩვენ ვიქნებით დახვეწილ არქეოლოგთა ჯვუფი, რომელმაც ორი არქეოლოგიური ადგილი აღმოაჩინა. მინდა, რომ იმუშაოთ თქვენს პარტნიორებთან ერთად და დაწეროთ რაც შეიძლება მეტი დაკვირვება ამ ცივილიზაციებში მცხოვრები ხალხის შესახებ, შეადაროთ ისინი ერთმანეთს და დაწეროთ, თქვენი აზრით, რომელნი არიან უფრო განვითარებულნი. მოიყვანეთ დამადასტურებელი მაგალითები დასკვნების შესახებ, რომელსაც დაწერთ. ხუთი წუთი გაქვთ.“

მოსწავლეები იწყებენ, დევიდი კი მოძრაობს ოთახში. ის კითხულობს მოსწავლეების დასკვნებს და პერიოდულად კითხულობს: „საიდან იცი ეს?“ „რას გეუბნება ეს?“

მიცემული დროის ბოლოს, დევიდი ამბობს: „მოდი, დავიწყოთ. რას მიაგენით?“

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესენი უფრო ახლოებია“, ამბობს ლორი.

„არა!“ აწყვეტინებს როდნეი.

„როდ, “ ამბობს დევიდი მკაცრად, „გახსოვს, ჩვენ შევთანხმდით, რომ ჩვენ შეგვიძლია ვინმეს არ დავეთანხმოთ, მაგრამ ვაცდით სხვებს, რომ დაამთავრონ აზრი. “

„ბოდიში.“

„განაგრძე, ლორი.“

„მახვილები უფრო ბასრია და მგონი, ხელოვნებაც უფრო უყვართ.“

„კარგი, როდ, განაგრძე“ ეუბნება დევიდი, როცა ლორი ამთავრებს.

„ეს მახვილები უფრო მაღალი ტექნოლოგიით დამუშავებულს ჰგავს. “

კლასი აგრძელებს არტიფაქტების განხილვას და მოსწავლეები ასკვნიან, რომ ცივილიზაცია ა- მ მოიშინაურა ცხოველები, ხოლო ცივილიზაცია ბ - ში ანტილოპას ძვლები და ცხოველის კანი აჩვენებს, რომ ამ საზოგადოების წევრები აღბათ მონადირეები და შემგროვებლები იყნვენ.

დისკუსიის დასასრულს, დევიდი ამბობს „კარგი, დღეს საღამოს მინდა, რომ წაიკითხოთ გვერდები 35-44 ცივილიზაციების შესახებ და გადაწყვიტოთ, რომელი უფრო ძველია და რომელ წლებს მიეკუთვნება ეს არტიფაქტები. დღეს ძალიან კარგად იმუშავეთ. ძალიან კარგი დასკვნები გამოიტანეთ და კარგადაც დაასაბუთეთ.“

მოდით, ვნახოთ როგორ გამოიყენა დევიდმა კლიმატისა და სასწავლო პროცესის ცვლადები კლასში მოტივაციის გასაზრდელად. პირველ რიგში, მისი კლასი მოწესრიგებული და უსაფრთხო იყო. მაგალითად, ყველა მოსწავლე თავის მერხთან იჯდა თავიანთი წიგნებით ზარის დარეკვის შემდეგ, რაც კარგად ჩამოყალიბებულ რუტინაზე მიუთითებს. ამას გარდა, დევიდმა შენიშვნა მისცა როდნეის ლორისთვის ხელის შეშლისთვის, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, რომ გამოთქვან საკუთარი აზრი სირცხვილისა და შიშის გარეშე.

დევიდი შეეცადა აქტივობების პერსონალიზებას თანამედროვე ტექნოლოგიების მაგალითის მოყვანით და შემდეგ მოსწავლეების არქეოლოგის როლში გამოყვანით.

ამის შემდეგ მან აჩვენა არტიფაქტები და თქვა: „ჩვენ სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხზე ბევრი რამის თქმა შეგვიძლია მათ ტექნოლოგიებსა დ, არტიფაქტებზე დაკვირვებით“ მან ახსნა აქტივობის აზრი და ყურადღება გაამახვილა გაკვეთილის შესავლის ფოკუსსა და დავალების გაგებაზე. გარდა ამისა, მან გამოიწვია მოსწავლეები დაეწერათ დასკვნები და გაემყარებინათ მაგალითებით, რაც კრიტიკული აზროვნების საფუძველია. კრიტიკულად აზროვნების უნარის განვითარებამ ხელი შეუწყო გაზრდილი კომპეტენციის შეგრძნებას. დევიდის კომენტარმა „დღეს ძალიან კარგად იმუშავეთ. ძალიან კარგი დასკვნები გამოიტანეთ და კარგადაც დაასაბუთეთ.“ - კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გაზრდილ კომპეტენციას.

საბოლოოდ, მოსწავლეები ჩართული იყვნენ გაკვეთილში და მათი წარმატება გაიზარდა - რადგან დასკვნების გაკეთება ღია კითხვებზე პასუხი იყო და მოსწავლეებმა აღიქვეს, როგორც გამოწვევა.

ზემოთ თქმულს მივყავართ შეფასების, უკუკავშირისა და სწავლის მოტივაციის საკითხებამდე.

შეფასება და სწავლა: უკუკავშირის გამოყენება ინტერესისა და თვითეფექტურობის გასაზრდელად

მოტივაციაზე შეფასების გავლენის განსასაზღვრად, ვნახოთ დევიდის გაკეთილის გაგრძელება მეორე დღეს.

მეორე დღეს დევიდმა დაიწყო „ჩვენი ერთ-ერთი მიზანი გუშინ და მთელი წლის განმავლობაში არის მაგალითების მოყვანა დასკვნების გასამყარებლად. თქვენ ძალიან კარგად გაართვით ამ დავალებას გუშინ თავი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი მუშაობა დაგვჭირდება. დაიმახსოვრეთ, რატომ ვაკეთებთ ამას. ეს მხოლოდ იმისთვის არის, რომ გაუმჯობესდეთ და მეტი ვისწავლოთ და არა იმიტომ, რომ გაგაკრიტიკოთ.

„რაც დაწერეთ ანონიმურია. მოდით, გავაანალიზოთ სამი ჯგუფის დასკვნები“

დასკვნა: ადამიანებს ტანსაცმელი ჰქონდათ.

ფაქტი: ტანსაცმელია ცივილიზაცია ა - ში.

დასკვნა: ცივილიზაცია ა - ში ადამიანები ტანსაცმელს იმზადებდნენ, ხოლო ცივილიზაცია ბ-ში ცხოველის ტყავი ეცვათ.

ფაქტი: ცივილიზაცია ა-ში აღმოჩენილია ნაჭერი, ხოლო ცივილიზაცია ბ-ში ცხოველის ტყავი.

დასკვნა: ცივილიზაცია ა- ში ადამიანები უფრო დიდი ალბათობით გადარჩებოდნენ.

ფაქტი: მათ ჰყავდათ ძროხები და ცხვარი, ამიტომ არ უწევდათ გარეული ცხოველის ძებნა. ნაჭერი გვიჩვნებს, რომ მათ ეცვათ ტანსაცმელი, ამიტომ არ უწევდათ ცხოველის ტყავის გამოყენება.

„რა კომენტარის გაკეთება შეგიძლიათ ამ დასკვნების შესახებ?“

„პირველი არ არის დასკვნა,“ ამბობს შანთუ. „ჩვენ შეგვიძლია ნაჭრის დანახვა, ამიტომ ეს არაფერს გვეუბნება.“

კლასმა განიხილა მეორე და მესამე მაგალითები და შეთანხმდა, რომ დასკვნები ფაქტებს ეფუძნება.

„სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი. თქვენი დასკვნები ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. ვიცი, რომ ყველას შეგიძლიათ ასე აზროვნება, ამიტომ ვნახოთ თქვენი შემდეგი ჩანაწერები.“

ამის შემდეგ იგი მოსწავლეებს წვნიანის ქვაბს აჩვენებს და სთხოვს მოსწავლუებს, გააკეთონ დასკვნები ცივილიზაციის შესახებ, რომელშიც ეს ქვაბი შექმნეს და დაადასტურონ ფაქტებით.

დევიდი დაფაზე წერს მოსწავლუების დასკვნებსა და კომენტარებს.

დეტალური უკუკავშირი სწავლების პროცესისთვის აუცილებელია. დევიდის ზოგიერთ მოსწავლეს მცირე გამოცდილება ჰქონდა, თუ როგორ უნდა დაეწერა დასკვნები ფაქტებზე დაფუძნებით, ხოლო შეფასების გარეშე ისინი ვერ გაარჩევდნენ კარგი და ცუდ დასკვნებს. ამის მსგავსად ენის ხელოვნების მოსწავლეები ვერ გაიგებენ კარგი თემა დაწერეს თუ არა, თუ მათ მასწავლებელი არ შეაფასებს. მათემატიკის მასწავლებლები ვერ ისწავლიან პრობლემის გადაჭრას, თუ მასწავლებელი პროცესის შესახებ უკუკავშირს არ მისცემს.

უკუკავშირი მნიშვნელოვანია მოტივაციისთვის, იმიტომ რომ მოსწავლეები აუმჯობესებენ თავიანთი მუშაობის ხარისხს. როცა ხედავენ, რომ ხარისხი იზრდება, მათი კომპეტენტურობის, თვითდეტერმინაციის შეგრძნებაც იზრდება და უმჯობესდება მოტივაცია. ეს შეუძლებელია მუდმივი შეფასებისა და უკუკავშირის გარეშე.

სასწავლო კონტექსტი: სწავლის მოტივაცია ურბანულ კლასში

დაბალი მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ქრონიკული პრობლემაა ურბანული სკოლის მასწავლებლებისთვის (Rubinson, 2004). ამის მიზანი კომპლექსურია, თუმცა გამოიყოფა სამი შემთხვევა: 1. ურბანული კლასის არაპერსონალური გარემო 2. კონტროლზე ფოკუსირებული გარემო 3. დაბალი მოლოდინები, რომლებიც მასწავლებლებს აქვთ მოსწავლეების მიმართ.

იმის გამო, რომ ურბანული სკოლები ხშირად დიდია, მასწავლებლებს ხშირად აქვთ პერსონალური გარემოს ჩამოყალიბების სირთულეები. მასწავლებლებს აქვთ ტენდენცია თავის სამუშაოს მთავარ მიზნად დაისახონ უბრალოდ შინაარსის გადმოცემა გაკვეთილზე მოსწავლის პერსონალურ, სოციალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ საჭიროებებზე ფოკუსის გარეშე (Charner-Laird t al., 2004).

არაპერსონალურ გარემოს ურბანულ კლასებში ემატება მასწავლებლის ტენდენცია, რომ ფოკუსირებული იყვნენ კონტროლზე და დისციპლინაზე, უფრო მეტად, ვიდრე სხვა ტიპის სკოლებში (Rimm-Kaufman & Sawyer, 2004; L. Weiner, 2002). მიუხედავად იმისა, რომ მისაღები ქცევა უსაფრთხოებისა და წესრიგის ძირითადი კომპონენტია, მრავალი ურბანული მასწავლებლის მიღომა მოსწავლის თვითრეგულაციის ნაცვლად ორიენტირებულია გარეგან კონტროლზე (Charner-Laird t al., 2004; L. Weiner, 2002).

და ბოლოს, დაბალი მოლოდინები მოსწავლეების მიღწევის მიმართ ალბათ ყველაზე რთული პრობლემაა ურბანულ სკოლებში (Ferguson, 2003; Landsman, 2004). აკადემიური ფოკუსი დაბალი დონის, რუტინულ დავალებებზე (Weiner, 2002) და მოსწავლეები არაპროპორციულ დროს უთმობენ წერითი დავალებების შესრულებას (Manouchehri, 2004). ამ ფაქტორებს შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეს მოსწავლის რწმენაზე.

ეს ფაქტორები, რომლებსაც ემატება სოციალური და პირადი სირთულეები, რომელსაც ურბანული სკოლის მოსწავლეები ხშირად აწყდებიან, იწვევენ სკოლისგან გამოთიშვას (Honora, 2003; Rubinson, 2004).

მიუხედავად იმისა, რომ ადვილი გზა ამ პრობლემების გადასაჭრელად არ არსებობს, კვლევები მაინც გვაწვდიან ინფორმაციას.

მასწავლებლის გავლენა

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები გავლენას ახდენენ ყველა მოსწავლის მოტივაციაზე, ურბანულ გარემოში მოსწავლეებზე მათი როლი განსაკუთრებით დიდია. რა ფაქტორებს შეუძლია ურბანული მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა? განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ცვლადები:

- მზრუნველობა
- წესრიგი და უსაფრთხოება
- ჩართულობა
- გამოწვევა

მზრუნველობა. მზრუნველობის მნიშვნელობას ურბანულ კლასში ადრეც გავუსვით ხაზი. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურბანული მოსწავლეების მოტივაციის გაზრდისთვის (T. Howard, 2001; Noddings, 2001). ურბანულ გარემოში მზრუნველობა ძირითადად გამოიხატება მასწავლებლის მიერ დახმარებასა და მონდომებაში, რომ მოსწავლემ რაც შეიძლება მეტი ისწავლოს (G.L. Gordon, 1999). მოდით, ვნახოთ რას ამბობენ ურბანული მოსწავლეები:

მე მომწონს მასწავლებლები, რომლებიც არ უშვებენ გამონაკლისებს... მე მინდა რომ ვიღაც **ამ** მითხრას, როცა დაღლილი ვარ ან არ მინდა დავალების შესრულება, რომ ის მაინც უნდა შევასრულო. თუ ყურადღებას არ მოვაქცევენ, დაგეზარება და არასოდეს იმეცადინებ. ვერაფერს ისწავლი, თუ არ უცდებიან (Corbett & Wilson, 2002).

წესრიგი და უსაფრთხოება: ეფექტური მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო და მოწესრიგებულ სასწავლო გარემოს. მასწავლებლები, რომელსაც არ შეუძლიათ მოწესრიგებული გარემოს შექმნა, ქმნიან ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უშლის სწავლას. „მასწავლებელი ყვირის „იმუშავე, დაჯექი შენს ადგილას.. ასეთ დროს მოსწავლეები არ მუშაობენ, ეს ხელს ძალიან გიშლის“ (Corbett & Wilson, 2002). მოტივაცია და სწავლა მცირდება ქაოტურ გარემოში.

ჩართულობა: ჩართულობა აუცილებელია ყველა მოსწავლის მოტივაციისთვის. ურბანული მოსწავლეები, რომელთათვისაც ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უფრო პასიურ როლში არიან ხოლმე. ეფექტური მასწავლებლები ურბანულ სკოლაში სვამენ მეტ შეკითხვებს, **ანაწილებენ** შეკითხვებს თანაბრად და პოზიტიურად რეაგირებენ მოსწავლეების პასუხებზე. ურბანულ გარემოში მოსწავლეების ჩართვა განსაკუთრებული გამოწვევაა, იმიტომ რომ მათ აქვთ პასიურ როლში ყოფნის ხანგრძლივი ისტორია. მათი მონდომების განვითარებას, რომ გარისკონ და აქტიური როლი ითამაშონ საკლასო აქტივობებში, დიდი დრო და მოთმინება სჭირდება, თუმცა, როცა ეს მიიღწევა, შედეგი ძალიან კარგია (Kincheloe, 2004).

გამოწვევა: ურბანულ მოსწავლეებს ხშირად ექცევიან ისე, თითქოს მათ არ აქვთ კოგნიტური უნარები, რათა რთული სამუშაო შეასრულონ (Barr & Parrett, 2001). მიუხედავად იმისა, რომ მათ ხშირად არ აქვთ წინარე ცოდნა, რომელიც სკოლაში სწავლის პროცესს აადვილებს, ისინი ხანდახან თავისებურად ჭკვიანები არიან, რაც მასწავლებლისთვის ძალიან რთული ასახსნელია. მათ კარგად ესმით, როგორ ექცევიან, რაც მათ ნაკლებ ჩართულობას კიდევ

უფრო აღრმავებს (R.A. Goldstein, 2004). ეფექტური მასწავლებლები იყენებენ მრავალ კარგ მაგალითს და უბრალოდ არ აძლევენ გამზადებულ პასუხს მოსწავლეებს, არამედ ცდილობენ მათი კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას. ეს კი, როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, ზრდის თვითეფექტურობის განცდას (Manouschehri, 2004).

მოტივაციის განვითარება ურბანულ სკოლებში ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, რომელსაც განათლების ექსპერტები აწყდებიან. თუმცა, ზოგიერთი ამ გამოწვევას იღებს და ლახავს. „მე გაოცებული ვარ, ურბანული მასწავლებლების ნიჭით და მცდელობით, რომ დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ მოსწავლეებს სიღარიბით გამოწვეული პრობლემების გადალახვაში. ისინი ჩვენი დროის გმირები არიან, მუშაობენ რა ყველაზე რთულ გარემოში (Kincheloe, 2004).

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- 5.1 გაიხსენეთ კეით ბრევსტერის მაგალითი მეათე თავიდან. აღწერეთ, როგორ გამოიყენა გაკვეთილის დასაწყისში შესავალი ფოკუსის პრინციპი;
- 5.2 აღწერეთ, როდის გამოიყენა დევონემ პერსონალზაციის პრინციპი;
- 5.3 მოიყვანეთ სწავლაზე ორიენტირებული და მიღწევაზე ორიენტირებული პრინციპების უკუკავშირის მაგალითები, ეფექტური თემის დაწერის მაგალითზე. აღწერეთ განსხვავება ამ ორს შორის.

კითხვებზე უკუკავშირის მისაღებად იხილეთ დანართი ბ.

სასწავლო პროცესის ცვლადების გამოყენება მოსწავლის სწავლისადმი მოტივაციის
გაზრდის მოდელში

შესავალი ფოკუსი

1. დაგენერეთ გაკვეთილის შესავალი ისე, რომ მიიპყროთ მოსწავლეების ყურადღება და შექნათ კონცეპტუალური ქოლგა მთელი გაკვეთილისთვის.

- **დაწყებითი საფეხური:** მეხუთე კლასის მასწავლებელი ასწავლის გაზომვას ნამცხვრის რეცეპტის მაგალითის მოყვანით, ინგრედიენტები სწორად უნდა გაიზომოს, თუ კლასში ყველას უნდა, რომ ნამცხვრის ნაჭერი შეხვდეს. ის ამბობს: „ჩვენ საკმარისი რაოდენობის ინგრედიენტები უნდა გამოვიყენოთ, რომ ნამცხვარი ყველას ეყოს. სწორედ ამას ვისწავლით დღეს.“ ის ამთავრებს გაკვეთილს სკოლის კაფეში ნამცხვრის გამოცხობით, რომელსაც ყველას უზიარებს.
- **საბაზო საფეხური:** ფიზიკის მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს დემონსტრირებით, როგორიც არის ყინულის ნატების ჩაგდება წყლით სავსე კონტეინერში, ხოლო მეორე ნატების - ალკოჰოლით სავსე კონტეინერში. ყინული ტივივებს წყალზე და იძირება ალკოჰოლურ სითხეში. „მოდით, ვნახოთ, რატომ ხდება ასე?“ ამბობს

მასწავლებელი.

- **საშუალო საფეხური:** ინგლისურის მასწავლებელი ჰემინგუეის მოთხოვას წარადგენს და იწყებს შეკითხვით: „დაფიქრდით, რას უნდა გრძნობდეს მუსულმანი ოჯახი დეტროიდში. რაზე საუბრობენ ისინი? რა არის მათთვის მნიშვნელოვანი? ამ კითხვებზე იფიქრეთ, როცა მოთხოვას წავიკითხავთ.“

პერსონალიზება

მოახდინეთ შინაარსის პერსონალიზება, როცა ეს შესაძლებელია.

- **დაწყებითი საფეხური:** მეხუთე კლასის მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ფეხსახსრიანების ცხოველებთან შედარებით, აძლევს რა უფლებას მოსწავლებს, მოუჭიროს ხელი ფეხსახსრიანებს მათი აგებულების გასაგებად.
- **საბაზო საფეხური:** მეშვიდე კლასის მასწავლებელი პროცენტებზე გაკვეთილს იწყებს კომპიუტერული თამაშის რეკლამის განხილვით. რეკლამა ამბობს: „10-დან 15% -მდე ფასდაკლება თამაშებზე.“ კლასი ხსნის ამოცანას, რათა გაიგოს, რამდენი ფული უნდა შეაგროვოს საყვარელი თამაშის საყიდლად.
- **საშუალო საფეხური:** მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილისთვის მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს ომში მონაწილე პირებთან გასაუბრებას. კლასი იყენებს ამ ინტერვიუებს, რათა გაითვალისწინონ ომის ადამიანური მხარე.

ჩართულობა

გამოიყენეთ დაუყოვნებლივი და ინფორმაციული უკუკავშირი მოსწავლის პროგრესის შესახებ.

- **დაწყებითი საფეხური:** მეოთხე კლასის მასწავლებელი განიხილავს ტესტებში ყველაზე რთულ დავალებებს და დეტალურ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს ამ დავალებების შესახებ.
- **საბაზო საფეხური:** მეშვიდე კლასის მასწავლებელი მოსწავლის ფურცელზე წერს: „ძალიან კარგი იდეები გაქვს. ახლა საჭიროა შენი თემა თავიდან დაწერო, რათა ის გრამატიკულად სწორი იყოს. ნახე კომენტარები, რომელიც მიგიწერ.“
- **საშუალო საფეხური:** ისტორიის მასწავლებელი იდეალურ პასუხს აჩვენებს მოსწავლეებს. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ პასუხებს მასწავლებლის მაგალითს.

დასახული მიზნების მიღწევა

1. სწავლაზე ორიენტირებულ გარემოსა და მიღწევაზე ორიენტირებულ გარემოს შორის განსხვავების ახსნა

- სწავლაზე ორიენტირებულ კლასში ფოკუსი არის სასწავლო მიზნებზე, ხაზს უსვამს

გაგებას და უნარების გაუმჯობესებას. მიღწევაზე ორიენტირებული გარემო ფოკუსირდება უნარების დემონსტრირებაზე, განსაკუთრებით სხვებთან შედარებით.

- სწავლაზე ორიენტირებული გარემო ზრდის მოსწავლეების მოტივაციას, როცა მიღწევაზე ორიენტირებულმა გარემომ შეიძლება შეამციროს მოტივაცია.

2. სტრატეგიების აღწერა, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია გაზარდოს მოსწავლის თვითრეგულაცია და მოსწავლის თვითრეგულაციის სხვადასხვა საფეხურის ახსნა

- მოსწავლის პასუხისმგებლობა შეიძლება გაიზარდოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებასა და გაუმჯობესებულ მიღწევას შორის კავშირის ხაზგასმით.
- მოსწავლეების წვლილის გათვალისწინება საკლასო წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბებაში, პასუხისმგებლობის აღქმა, როგორც კონცეპტისა და უპასუხისმგებლოდ ან პასუხისმგებლობით ქცევის შედეგები, პასუხისმგებლობის საკუთარი მაგალითით ჩვენება, კონკრეტული მექანიზმის ჩვენება დასახული მიზნების მონიტორინგისთვის.

3. მასწავლებლის პირადი თვისებების იდენტიფიცირება, რომლებიც ზრდის მოსწავლის სწავლისადმი მოტივაცის და ამ მახასიათებლების საკლასო აქტივობების კონტექსტში ანალიზი

- მასწავლებლის თვითეფექტურობა, მოდელირება, მზრუნველობა, მაღალი მოლოდინები მოსწავლეების მიმართ არის მახასიათებლები, რომლებიც მოსწავლის მოტივაციას ზრდის.
- მასწავლებლებს, რომლებსაც მაღალი თვითეფექტურობა აქვთ, სჯერათ, რომ შეუძლიათ მოსწავლეებს სწავლაში დაეხმარონ, მიუხედავად მათი გამოცდილებისა.
- პატივისცემის მოდელირება აუცილებელია მოტივაციისთვის, ასევე აუცილებელია იმ საკითხის მიმართ ინტერესის დემონსტრირება, რომელსაც მასწავლებელი ასწავლის.
- მასწავლებლები აჩვენებენ, რომ ზრუნავენ მოსწავლეებზე თავიანთი პირადი დროის მათთვის დათმობით და პატივისცემით დემონსტრირებით. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა პატივისცემის დემონსტრირებისთვის არის მოსწავლეებისთვის მაღალი სტანარტების წაყენება. მაღალი სტანდარტების წაყენება ასევე აჩვენებს, რომ მასწავლებელი ყველა მოსწავლისგან ელის წარმატებას.

4. მასწავლებლის ქცევის ანალიზი კლიმატური ცვლადების გამოყენებით, კლიმატური ცვლადებსა და TARGET-ის მოდელს შორის კავშირის გამოყენება.

- მამოტივირებელი გარემო არის უსაფრთხო და მოწესრიგებული.
- რთულ დავალებებში წარმატების მიღწევა ზრდის მოტივაციას. რთული დავალებების დაძლევა აჩვენებს, რომ კომპეტენტურობა იზრდება, რაც ავტონომიურობის შეგრძნებასაც ზრდის. ორივე ეს ფაქტორი შინაგან მოტივაციას ზრდის.
- მამოტივირებელ გარემოში მოსწავლეებს ესმით, რას ითხოვენ მისგან და რა უნდა გააკეთონ. ეს ცოდნა ეხმარება მათ ავტონომიურობის გაზრდაში.
- კლიმატის ცვლადები შეესაბამება TARGET -ი პროგრამის კატეგორიებს, რომელიც ეხება დავალებას (task), ავტორიტეტს (authority), აღიარებას (recognition),

დაჯგუფებას (grouping), შეფასებასა (evaluation) და დროს (time).

5. მაგალითების დასახელება, როცა მასწავლებლები სასწავლო პროცესის ცვლადებს იყენებენ გაკვეთილის დროს.

- მასწავლებლებმა მოსწავლის მოტივაცია შეიძლება გაზარდონ მაგალითებით, აქტივობებით ან კითხვებით, რომლებიც მოსწავლის ყურადღებას იპყრობს.
- მოსწავლეები ინარჩუნებენ ყურადღებას, როცა მასწავლებლები პერსონალურად მნიშვნელოვანი შინაარსის თემებზე საუბრობენ.
- მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლის სწავლისადმი მოტივაცია გაზარდონ უკუკავშირის მიცემით სასწავლო პროგრესთან დაკავშირებით. როცა უკუკავშირი მიუთითებს, რომ კომპეტენცია გაიზარდა, თვითეფექტურობა და თვითდეტერმინაცია უმჯობესდება და შინაგანი მოტივაცია იზრდება.